ეროვნული ბიბლიოთეკა

45 67/9



# საქართველოს ქალი

ივლისი
№ 7 1967 წ.

# გზად და სიდად...





ვახტანგოვის თეატრის მსახიობები: ი. ბორისოვა და მ. ულიანოვი.



## მოსკოვის დღეები თბილისში

სცენა ადანის ბალეტიდან ,,ჟიზელი". ნ. ტიმოფეევა და მ. ლავროვსკი.

ხალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა იგორ მოისეევმა ჩამოსვლისთანავე განაცხადა: „თბილისში — ცეცხლოვანი ქართული ცეკვების სამშობლოში, მომთხოვნი მაყურებლის წინაშე გამოსვლა საპატიო და პასუხსაგები მისიაა". და ეს მომთხოვნი მაყურებელი გაიტაცა შესანიშნავად დადგმულმა საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების ხალხთა ცეკვებმა.

ქართული ოპერის სცენაზე ჟღერდა ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერლის, რსფსრ დამსახურებული არტისტის, საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტის თამარ მილაშკინას დრამატული სოპრანო. ამავე სცენაზე იხილეს თბილისელებმა დიდი თეატრის ბალეტის სახელგანთქმული სოლისტები ნ. ტიმოფეევა და მ. ლავროვსკი ბალეტ ,,ჟიზელში".

ვინ არ გაიცნო ჩვენმა თბილისელმა მაყურებელმა იმ დღეებში: სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი რუბენ სიმონოვი, პოეტები მიხეილ ლუკინინი, სტანისლავ კუნიაევი და ვასილ სუბოტინი; მხატვრები, კომპოზიტორები და კინემატოგრაფიის მოღვაწეები.

მოსკოვის ვახტანგოვის თეატრმა თბილისში ლეონიდ ზორინის ორმოქმედებიანი ლირიკული დრამა ჩამოიტანა. ,,ვარშავის მელოდიას" დიდი მოწონებით შეხვდა მაყურებელი. სპექტაკლის წარმატების თავიდათავი რსფსრ სახალხო არტისტების იულია ბორისოვასა და მიხეილ ულიანოვის შესანიშნავი თამაში იყო.

ჩვენი ქალაქის მუსიკის მოყვარულებს დიდი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის მევიოლინეთა ანსამბლის კონცერტებმა. სამხატვრო გალერეის შენობაში გამართულმა მოსკოველ მხატვართა ესტამპის გამოფენამ.

მოსკოველი სტუმრები აღტაცებული დარჩნენ ქართული სტუმართმოყვარეობით. ყველგან, სადაც კი ისინი ფეხს დადგამდნენ, ხვდებოდათ გულთბილი, მეგობრული კოლექტივები. იმ ერთი კვირის განმავლობაში მათ მრავლის ნახვა და გაცნობა მოასწრეს. ისინი ეწვივნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარისკაცებსა და ზემდეგებს, ოფიცრებსა და გენერლებს, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს, ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანას, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სამედიცინო, პედაგოგიურ და უცხო ენათა ინსტიტუტებს. და ეს შეხვედრები ყველგან ტარდებოდა გულთბილად, მეგობრულად. სტუმრები და მასპინძლები უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთარ შემოქმედებას, საკუთარ მიღწევებს. დამშვიდობებისას მოსკოველებს თან წაჰყვათ თბილისელთა სიყვარულით გამთბარი გულები. დე, კვლავ მრავალი მეგობრული შეხვედრის მოწმე იყავ, ჩვენო თბილისო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მომავლის პერსპექტივები

გვესაუბრება საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი გ. ქობულია

სულ უფრო მზარდი სოფლის მეურნეობა ახალ და ახალ მიწებს მოითხოვს. ახალი მასივების ათვისება კი საქართველოში ძირითადად ორი გზით მიმდინარეობს: ერთის მხრივ, მწირი და გვალვიანი ფართობების მორწყვის ანუ ირიგაციის, ხოლო მეორეს მხრივ ჭაობიანი ადგილების ამოშრობის ანუ მელიორაციის განვითარებით.

ვინც ჩვენს რესპუბლიკას კარგად არ იცნობს, ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურადაც მოეჩვენოს მორწყვისა და ამოშრობის ასეთი „თანაარსებობა" (იფიქრებს: თუ ჭაობებია, ტენი ზომაზე მეტიც ჰქონია, მორწყვა რაღა საჭიროა და პირიქით), მაგრამ ეს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურების შედეგია და კლიმატისა და ბუნების სპეციფიურობითაა გაპირობებული. აღმოსავლეთში მშრალი კონტინენტური ჰავაა, დასავლეთში კი ამის საწინააღმდეგო — ნესტიანი, სუბტროპიკული. ამის შესაბამისად წყლის ფაქტორი სხვადასხვა როლს ასრულებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში — აღმოსავლეთ საქართველოში ხელოვნური რწყვის ფართოდ გამოყენებაა საჭირო, დასავლეთში — ჭაობების დაშრობა.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციამ სთხოვა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრს ამხ. გ. ქობულიას მკითხველებისათვის მოეთხრო რესპუბლიკაში ირიგაციისა და მელიორაციის განვითარების გზებისა და ახალი მიწის მასივების ათვისების იმ დიდ სამუშაოებზე, რომლებიც გაწეულია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე.

მინისტრი თავაზიანად დათანხმდა ჩვენს თხოვნას:

— საქართველო ოდითგანვე მიწათმოქმედების ქვეყანაა. აქ რწყვა ნიადაგის განაყოფიერების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია და მას ძველთაგანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. განა ამაზე მჭევრმეტყველურად არ ლაღადებენ ძველი არხებისა და ნაგებობათა მრავლად შემორჩენილი ნაშთები! პირველი ცნობები მათზე IV საუკუნეს მიეკუთვნება. რთული რელიეფური პირობები, იმდროინდელი მშენებლობის დაბალი დონე მთელი მიწის მორწყვის საშუალებას როდი იძლეოდა. ძირითადად მოსარწყავად იყენებდნენ ისეთ წყაროებს, რომელთა მიყვანა ადგილებზე თვითდინებით ხერხდებოდა და ადვილად განსახორციელებელი იყო. ამიტომ ბევრი ნაყოფიერი ადგილი გამოუყენებელი რჩებოდა, ან თუ ითესებოდა, გვალვით ნადგურდებოდა. ეს საქმე შესამჩნევად არც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ წავიდა წინ, თუმცა ერთგვარი ნაბიჯი გადაიდგა — აშენდა ორი არხი — ივრისა — 190 ჰექტარი ფართობის მოსარწყავად და მტკვრისა — ყარაიაზის ნახევრად საინჟინრო სისტემა, რომელიც 11 ათას ჰექტარს რწყავდა. ასე, რომ პირველი იმპერიალისტური ომის წინ საქართველოში სულ მხოლოდ 112 ათასი ჰექტარი მიწა იღებდა მაცოცხლებელ ნექტარს. მენშევიკების დროს სარწყავი მიწათმოქმედება კიდევ უფრო დაქვეითდა და 95 ათას ჰექტარამდე დავიდა, არხების ტექნიკური მდგომარეობა კი მკვეთრად გაუარესდა.

რაც შეეხება სამელიორაციო სამუშაოებს, იგი რევოლუციამდე, საერთოდ არ წარმოებდა. ჭაობიანი ადგილები მალარიის გავრცელების ბუდე იყო, არ მოჰქონდა არავითარი სარგებლობა და აუწერელ ზიანს აყენებდა მოსახლეობის ჯანმრთელობას.

1921 წლიდან მოკიდებული სარწყავ მეურნეობაში იწყება ახალი ეტაპი, დასაბამი ეძლევა მის მძლავრ განვითარებას, შესაძლებელი ხდება ხალხის ნატვრის ასრულება. უკვე საბჭოთა წყობილების პირველ ათ წელიწადში წყალი მიიღო კახეთისა და ქართლის მინდვრებმა. მწყობრში ჩადგა ქვემო ალაზნისა და ტირიფონის სარწყავი სისტემები, ამუშავდა დილმის სატუმბავი სადგური, სხვა მცირე არხები და, ამგვარად, თითქმის ორჯერ გადიდდა სარწყავი ფართობები. ამას გარდა, ხდებოდა ძველი სისტემების რეკონსტრუქცია, მათი აღჭურვა მუდმივი საინჟინრო ნაგებობებით, და უკვე დიდი სამამულო ომის წინ სარწყავი მიწების ფართობმა 242 ათას ჰექტარს მიაღწია.

უფრო ნათელი და თვალსაჩინო რომ იყოს ის სარგებლობა, რაც რწყვას მოაქვს, ორიოდე მაგალითს დავასახელებ: თელავის რაიონში ურწყავ ადგილებში მარცვლეული კულტურები შარშან საშუალოდ თვითოეულ ჰექტარზე 13 ცენტნერი მიიღეს, სარწყავში — 26,7 ცენტნერი, ყურძენი შესაბამისად — 45,3 და 63 ცენტნერი; გორის რაიონში ურწყავ ჰექტარზე მოიყვანეს 180 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ხოლო სარწყავზე — 488,4 ცენტნერი. სარწყავიდან თითქმის ორჯერ მეტი სიმინდის მოსავალი მიიღეს ლაგოდეხელებმა.

რაც შეეხება მელიორაციის ეფექტურობას, ამის შემდეგი ფაქტიც მკაფიოდ ადასტურებს: ამჟამად საქართველოში დაშრობილია 130 ათასი ჰექტარი მიწა, მარტო კოლხეთში დაახლოებით 70 ათას ჰექტარ მანამდე გამოუსადეგ ნაჭაობარზე ახლა მოჰყავთ ისეთი ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, როგორიც არის ჩაი, ციტრუსები, დაფნა, გერანი და სხვა.

ახლა კი ისევ მშენებლობაზე გავაგრძელოთ სიტყვა.

განსაკუთრებით ფართო მასშტაბით გაჩაღდა წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობა ომისშემდგომ პერიოდში. საექსპლოატაციოდ გადაეცა დიდი საირიგაციო ნაგებობანი — მუხრანის, ვანათის, თეზი-ოკამის, ტაშისკარისა და სხვა არხები.

უკვე ყველასათვის კარგად არის ცნობილი ის დიდი შესაძლებლობანი, რაც ოდესღაც წყალმოწყურებულ და ხრიოკ სამგორის ველებს გააჩნია. ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რთული საინჟინრო ნაგებობის მშენებლობა, ისევე როგორც თბილისისა და სიონის (თავისი წყალსაცავებით), მთელმა საქართველომ საყოველთაო-სახალხო მშენებლობად გამოაცხადა. 41 ათას ჰექტარზე გადაჭიმულ მიწებს სიცოცხლე დაუბრუნდა, აყვავდა და წალკოტად იქცა.

ამჟამად სარწყავი ფართობების საერთო რაოდენობა რესპუბლიკაში 372 ათას ჰექტარს აღემატება.

დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული საქართველოს

წყალთა მეურნეობის მუშაკების წინაშე ახალ ხუთწლედში. სწორედ ისინი განსაზღვრავენ მშენებლობის მასშტაბებსა და ტემპებს. მათ წარმატებით განხორციელებაზე ბევრად არის დამოკიდებული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა. აი, ზოგიერთი ძირითადი მონაცემი: უნდა გასარწყავდეს 60 ათასი ჰექტარი მიწა, მოხდეს არსებული სისტემების რეკონსტრუქცია და გაუმჯობესდეს წყლით უზრუნველყოფა 148 ათას ჰექტარ ფართობზე. ამგვარად, ხუთწლედის ბოლოსათვის სარწყავი მიწების საერთო რაოდენობა საქართველოში 480 ათას ჰექტარს მიაღწევს.

მარტო ახალი სარწყავი სისტემების დასახელებითაც კი ნათელი ხდება, თუ რა დიდი ობიექტების მშენებლობაა გათვალისწინებული ამ პერიოდში. ესენი გახლავთ: ქვემო სამგორის, თელეთ-კუმისისა და სოღანლუღის, ზემო ალაზნის, საგურამოს, კავთისხევისა და სხვა სარწყავი სისტემები.

მთლიანად დამთავრდება 1962 წელს დაწყებული ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა. ამ ობიექტის ამუშავების შემდეგ 40 ათასამდე ჰექტარ ფართობზე გადაიქცევა ზვრები და ბაღები.

თუ ნავთლუღის მხრიდან შავნაბადას მთისაკენ გაგიხედავთ, შეამჩნევდით მწვანე მბრწყინავ მსხვილი ლითონის მილების წყებას, რომლებიც ლარებივით გაჭიმულან. ეს არის უნიკალური მექანიკური სისტემა, რომელმაც მტკვრიდან გადაქაჩვით უნდა მიაწოდოს წყალი და წყურვილი მოუკლას საუკუნეების მანძილზე მწირსა და გვალვიან მიწებს — თელეთის, კუმისისა და სოღანლუღის მინდვრებს. ამას გარდა, ახალმა არხმა გარკვეული როლი უნდა შეასრულოს ჩვენი დედაქალაქის გამწვანებაში, აამწვანოს თრიალეთის ხრიოკი ქედის კალთები. ეს ადგილები ერთ-ერთ ულამაზეს კუთხედ და თბილისელთა დასვენების კერად იქცევა.

ხუთწლედის უდიდეს საირიგაციო ნაგებობა მაინც ზემო-ალაზნის არხი იქნება. იგი გაასარწყავებს არა მარტო შიდა, არამედ გარეკახეთის — 110 ათას ჰექტარ მიწას. ეს ადგილები კი, როგორც მოგეხსენებათ, რესპუბლიკის მევენახეობისა და მეხილეობის ძირითადი რაიონებია. ეს რთული საინჟინრო კომპლექსი არა მარტო გარეგნულად შეუცვლის სახეს მიდამოს, არამედ, და რაც უფრო მთავარია, ხარისხოვანი ღვინოების წარმოების გადიდებით დიდ ცვლილებებს შეიტანს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში. ამ სისტემის მშენებლობას ორი წლის წინათ შევუდექით და იგი წარმატებით მიმდინარეობს. მისი პირველი რიგის მწყობრში ჩადგომის შემდეგ 41 ათასი ჰექტარი ფართობი იქნება გამოყენებული.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ, თუმცა მეჩაიეობის რაიონები დასავლეთ საქართველოშია, სადაც ტენი საკმაოზე მეტია, მაგრამ გარკვეულ პერიოდში ჩაის პლანტაციებს რწყვა მაინც სჭირდება. მორწყვის ეს სამუშაოები ისეთი ტემპით უნდა წარვმართოთ, რომ


თელეთის მექანიკური მორწყვის სისტემის წნევითი მილსადენი

მოსარწყავი პლანტაციების ფართობი 1970 წლის ბოლოსათვის 20 ათას ჰექტარამდე ავიყვანოთ. ეს მეჩაიეებს საშუალებას მისცემს გაადიდონ მწვანე ფოთლის წარმოება და ყოველგვარ კლიმატურ პირობებში უზრუნველყონ მყარი მოსავლის მიღება.


ზემო სამგორის სარწყავი სისტემის გამანაწილებელი.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მელიორაციის შემდგომი განვითარება. მარტო კოლხეთში 66 ათას ჰექტარზე განხორციელდება დამშრობი ქსელის რეკონსტრუქცია. დამშრალი ფართობები გაიწმინდება ტყე-ბუჩქნარისაგან, გაყვანილი იქნება გზები, მეურნეობები მომარაგდება სასმელი წყლით. ამას გარდა, ვარგისად იქცევა ამჟამად დაჭაობებული გამოუყენებელი 24 ათასი ჰექტარი მიწა.

ხუთწლედით ნავარაუდევი საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოთა ამ დიდი პროგრამის შესრულებისათვის საჭიროა მშენებლობის სრული მექანიზაცია, მისი ინდუსტრიულ მეთოდებზე გადაყვანა. ცნობილია, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, თუგინდ ზემო სამგორის არხის აგების დროსაც (1946-1950 წ) კი დიდ როლს ასრულებდა მამაპაპური ბარი და ნიჩაბი, წერაქვი და ძალაყინი. მშენებლობაზე 6 თვითმავალი უცხოური სკრეპერი იყო. ახლა კი საირიგაციო ობიექტებზე სამამულო წარმოების ათჯერ და უფრო მეტი სრულყოფილი სკრეპერია, რომელსაც მოგილოვის ქარხანა ამზადებს.

ამჟამად თითქმის არც ერთი ოპერაცია ჩვენთან ხელით აღარ სრულდება. ეს ფუნქციები მთლიანად მანქანებს აკისრიათ. მშენებლობები აღჭურვილია მძლავრი მიწისამთხრელი სამშენებლო ტექნიკით. ესაა ექსკავატორების, თვითმავალი სკრეპერების, ბულდოზერების, ავტომტვირთავების, მიწისმწოვების, გრეიდერების, ავტომაწყებების და თვითმცლელი მანქანების მთელი კოლონები.

ორიოდე სიტყვით შევეხები წინასწარ დამზადებული რკინაბეტონის ღარების გამოყენებით არხების გაყვანის პროგრესულ მეთოდს. მისი უპირატესობაა წყლის დანაკარგების თითქმის მთლიანად აღმოფხვრა, მიწის სასარგებლო ფართობის ეკონომია (ე. წ. საინსპექტორო გზების შემცირების ხარჯზე) და მრავალი სხვა.

დარწმუნებული ვარ, გაინტერესებთ, თუ როგორ ვაპირებთ შევხვდეთ დიად დღესასწაულს—ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავს.

სამინისტროს აპარატისა და სისტემის ორგანიზაციათა კოლექტივებმა გადაწყვიტეს შრომაში მოპოვებული ახალი გამარჯვებებით შეეგებონ იუბილეს. განზრახული გვაქვს ვადაზე ერთი წლით ადრე შესრულდეს საექსპლოატაციო სამუშაოთა წლიური დავალება, პირველი ნოემბრისათვის დამთავრდეს გალისა და მახარაძის რაიონების ჩაის პლანტაციების გასარწყავება 700 ჰექტარზე, მოხდეს ყიზლარის საძოვრების გაწყლოვანება, საექსპლოატაციოდ გადაეცეს კოლხეთის დაბლობის 6.000 ჰექტარი ახალი დამშრობქსელიანი და რეკონსტრუქციაქმნილი ფართობები, ყველა ძირითად ობიექტზე მიწისა და სამშენებლო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია აყვანილ იქნას 99 პროცენტამდე, გეგმის გადამეტებით დამზადდეს 4.000 კუბმეტრი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები.

ჩვენი ორგანიზაციების კოლექტივები ენერგიის დაუზოგავად იბრძოლებენ ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

საუბარი ჩაიწერა სერგო ხარაზიშვილმა.

## თამარ ჩხაიძე



# აკვანი

60 წელი შეუსრულდა ქართველ მწერალ ქალს თამარ ჩხაიძეს.

ამ რამდენიმე ხნის წინ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ, ფართო საზოგადოებრიობასთან ერთად აღნიშნა მისი იუბილე.

ვინ მოსთვლის რამდენჯერ გაახარა თამარმა თავისი კარგი წიგნებით პატარების გული. ბავშვებს უყვართ მისი „მეაბრეშუმე ნანული", „ცივწყალა", „დედაენა", „სიხარული", „ნუკრია", „ქცია", „ხატულა", „სახტომელა"... მათთვის იღწვის, შრომობს დიდა თამარი. ცდილობს მეტი სულიერი საზრდო მიაწოდოს, გაამდიდროს მათი ბავშვური სამყარო.

თამარ ჩხაიძე არც მოზრდილებს ივიწყებს. მისი მოთხრობები სისტემატურად იბეჭდება ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. მაყურებელს კარგად ახსოვს მისი მოთხრობის მიხედვით დადგმული სატელევიზიო ფილმი: „დედის ხელი", რომელსაც ხშირად უჩვენებენ ტელეეკრანებზე.

თამარ ჩხაიძე დღესაც დაუშრეტელი ენერგიით შრომობს, ქმნის საბავშვო მოთხრობების ციკლს, ზოგი უკვე მზადა აქვს, ზოგსაც კი მომავლისთვის გვპირდება.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია გულთბილად ულოცავს თამარ ჩხაიძეს დაბადების სამოცი წლისთავს და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებას შემოქმედებით მუშაობაში.

მხატვარი ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

ნოველა

რახანია ურჯულო მტერი გადარეკა ქართველმა მხედრობამ. ხალხი სიხარულს, მშვიდობას და სიცოცხლეს უმღეროდა.

და ამ ხალისიან ხმებში გლოვის ზარად გაისმოდა მაიას მუდმივი მოთქმა:

— შვილებო, შვილებო, ვაი თქვენ დედას!

ან უცებ წამოვარდებოდა, თმებგაწეწილი, თვალებანთებული, ხელშემართული და ჩახლეჩილი ხმით ყვიროდა:

— გამიშვით, გამიშვით, მეც იარაღი ავისხა, მტერი ჩავაძაღლო!

მაიას არეული ლაპარაკი მესამე ვაჟის დაღუპვის შემდეგ შეემჩნა.

„შური უნდა ვიძიოო!" — თქვა მესამემ და თვითონაც შეეწირა ძმების სისხლის აღებას.

რახანია მტერი გადარეკა ქართველმა მხედრობამ. მაია კი შესთხოვდა გამვლელ-გამომვლელს:

— ამბავი მითხარ, დედაშვილობას, ჩემი ბიჭების ამბავი!

მაიას შვილებს საქართველოს მიწაში ეძინათ, მაია კი ყოველ ცისმარე დღე ჭიშკართან იჯდა სამფეხა სკამზე, გზას გასცქეროდა და გამვლელებს ერთსა და იგივეს ეკითხებოდა.

— ჩემი ბიჭები ხომ არ შეგხვედრიათ? მოდიან, მოდიან თურმე!



ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოდიან, მაია, მოდიან! — უკრავდნენ კვერს მაიას ალერსითა და დაყვავებით და მაიაც გახალისდებოდა, მოჰყვებოდა თადარიგს:

— მოვლენ და სამ ქორწილს ერთად გადავიხდი: შოთას დავითის თინიკოს შევრთავ, კაკოს — სოფიოს, გოგის — ნათელას. კაი რძლები მეყოლება, კაი!

— კაი დაგემართოს! — ლოცავდნენ მაიას.

— კაია აბა, რა. ჯერ იყო და ქმარი გავასვენე, არა, მაშინ ლაშქრობა არ იყო! — ლაშქრობის ხსენებაზე ისევ გაიწევდა:

— გამიშვით, მტერი უნდა ჩავაძაღლო!

— ხვალ, გენაცვალე, მაია, ხვალ. ახლა ღამეა, ახლა შინ შედი! — ეხვეწებოდნენ მაიას მეზობლები და დაიყოლიებდნენ. დააწვენდნენ, საბანს ამოუკეცავდნენ, სასთუმალთან ყველსა და კვერს დაუდებდნენ, იქნებ ღამე მოგშივდესო, მოუყვებოდნენ აქაურ-იქაურისას, დააძინებდნენ და ფრთხილად გაიკრიფებოდნენ.

დილით კი ისევ გაისმოდა:

— შვილებო, შვილებო, ვაი, თქვენს დედას!

ალბათ კიდევ დიდხანს იგლოვებდა შვილებს მაია, ერთ დღეს ქარიშხალი რომ არ ამოვარდნილიყო.

უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, — მაინცდამაინც მაიას სახლს გაუჩნდა ცეცხლი.

მაია გზაზე იყო გასული, ალბათ შვილებს ეგებებოდა თავისი ჭკუით.

— იყოს, იყოს, ნუ უძახით!

— სანამ გაიგებდეს, ცეცხლი ჩავაქროთ, იქნებ!

— რაღა ცეცხლი სჭიროდა, ისედაც ცეცხლმოკიდებულს! — იძახოდნენ მეზობლები და დარბოდნენ, ზიდავდნენ წყალს, ასხამდნენ ცეცხლს. ჰყრიდნენ გარეთ ლოგინსა და ოჯახის ხორაგს. სულ გამოზიდეს, რაც გააჩნდა საბრალო ქალს. სახლს კი ვერაფერი უშველეს.

ბრიალებდა მაიას ოდა, მაიამ რომ მოირბინა და ცეცხლში შესტოპა.

— საით, საით, უბედურო!

— მაია, მაია!

— დამალული აქვს ალბათ, რაიმე!

— მოაგონდა!

— გონს მოვიდა!

ამ ბჭობაში იყვნენ სოფლელები, რომ ალმოდებული მაია კიბეზე გამოჩნდა. მას გულზე აკვანი მიეხუტებინა და ცეცხლიდან გამოჰქონდა. ჩქარა მაიას ოდიდან ფერფლის გროვაღა დარჩა. მაიაც იქვე ტახტზე ესვენა. ხელი აკვანზე შერჩენოდა.

აკვანზე სამი სახელი ეწერა: შოთა, აკაკი, გიორგი.

— ბიჭებს შეუნახეთ! — ეს იყო მაიას უკანასკნელი ამონაკვნესი.



ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის კოლექტივი, ჟურნალის მრავალრიცხოვანი მკითხველები გულ მხურვალედ ულოცავენ გამოჩენილ ქართველ მეცნიერს აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს მისი დაბადების 80 წლისთავს; უსურვებენ ამაგდარ მეცნიერს კიდევ მრავალ ახალ წარმატებას სამეცნიერო მოღვაწეობაში, დიდი ხნის სიცოცხლეს და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.



# ერთი მათგანი

იდგა 1918 წლის ქარიშხლიანი დღეები. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი იყო დიდი ლენინი, ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაყო მსოფლიო. რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ბანაკები სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ერთმანეთს. ამ დროს, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს მენშევიკური ხელისუფლება კონტრრევოლუციის ბანაკში აღმოჩნდა. მათ ხომ საქვეყნოდ აღიარეს თავიანთი პოლიტიკური კრედო: დასავლეთის იმპერიალიზმი გვირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო, — ე. ი. ბოლშევიკებსო.

პოლიტიკურად ასეთ დაძაბულ ვითარებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარი მოკრძალებით შეაღო სწავლასმოწყურებულმა გოგონამ, პატულია (ფატი) გრიგოლის ასულმა ხარებავამ...

კომუნისტური პარტიის წევრი 1918 წლის იანვრიდან, პატულია ხარებავა, ამჟამად ღრმადმოხუცებულია, მაგრამ მხნედ გამოიყურება და სახეგაბრწყინებული იგონებს შორეული წარსულის ამბებს თბილისის უნივერსიტეტის ცხოვრებიდან:

— უნივერსიტეტის კედლებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდი სულისშემხუთველ, შოვინისტურ ატმოსფეროს. მენშევიკი და ნაციონალდემოკრატი სტუდენტობა ერთმანეთს ეჯიბრებოდა შოვინიზმის გამოხატვაში. როდესაც საკითხი ეხებოდა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს ბოლშევიკურ პარტიას, ისინი ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ მათ წინააღმდეგ კრიტიკითა და ლანძღვით. ამ საქმეში მათ მხარს უმშვენებდნენ სოციალისტ-ფედერალისტები. უნივერსიტეტის აუდიტორიებში ლექციებისაგან თავისუფალ დროს გაცხარებული კამათი იმართებოდა სტუდენტებს შორის. მეტ შემთხვევაში თავდასხმის ობიექტი იყო საბჭოთა რუსეთი და საქართველოს ბოლშევიკური პარტია.

უნივერსიტეტში ბოლშევიკი სტუდენტებიც იყვნენ. ერთმანეთის გასაცნობად არ გვჭირდებოდა ვისიმე დახმარება, რადგან სტუდენტთა შორის გამართული კამათისას ჩვენ ერთმანეთს ვეცნობოდით. არ შეგვეძლო გულ-ხელი დაგვეკრიფა და ისე გვესმინა საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკების ლანძღვა-გინება.

მალე უნივერსიტეტში ბოლშევიკური საინიციატივო ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელშიც შედიოდნენ ვალიკო გეგეშიძე, გრიშა მახარაძე, ლადო ლეჟავა და სხვები. ჩვენმა ჯგუფმა გადაწყვიტა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ წლისთავზე დაგვეარსებინა პირველი კომუნისტური უჯრედი, რაც სისრულეში მოვიყვანეთ. შემდგომში ჩვენი ორგანიზაცია ბოლშევიკური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტის საიმედო დასაყრდენად გადაიქცა მის სააგიტაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობაში. მალე ჩვენი უჯრედის მუშაობა გასცდა უნივერსიტეტის კედლებს და ჩვენც გამოყენებული ვიყავით პროპაგანდისტებად თბილისსა და საქართველოს მთელ რიგ რაიონებში. იყო შემთხვევა, როდესაც ჩვენი ორგანიზაციის წევრებს ავალებდნენ პროკლამაციების გავრცელებას ჯერ გერმანელების და შემდეგ ინგლისელების ჯარის ნაწილებში; ერთ-ერთი ასეთი დავალების შესრულებისას შემამჩნია ინგლისელმა ოფიცერმა და მათრახით მცემა. მათრახის ნაკვალევი ახლაც მაჩნია ზურგზე.

დაიწყო უნივერსიტეტიდან ბოლშევიკ სტუდენტების გარიცხვა და დაპატიმრება. პატულია ხარებავა თბილისის კომიტეტის დავალებით ამყარებს კავშირს მეტეხის ციხეში მყოფ ამხანაგებთან. აწვდის მათ ინფორმაციას და ლიტერატურას პოლიტიკურ ვითარებაზე. უნივერსიტეტის ბოლშევიკური ორგანიზაცია არ ივიწყებს პატიმარ ამხანაგებს. მისი ინიციატივით სტუდენტთა გამგეობაში შედის განცხადება, რომლის საფუძველზე გამგეობა იძულებულია აღძრას შუამდგომლობა ბოლშევიკ სტუდენტთა ციხიდან განთავისუფლებისა და უნივერსიტეტში აღდგენის თაობაზე.

ვერც მე გადავრჩი დაპატიმრებას, მაგრამ ბოლშევიკურად განწყობილი მილიციელის დახმარებით თავი დავაღწიე პატიმრობას, როდესაც მას მარტყილიდან თბილისში მოვყავდიო, — ამთავრებს საუბარს პატულია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პატულია ხარებავა მისთვის ჩვეული ენერგიით მუშაობდა მთელ რიგ საპასუხისმგებლო — ხელმძღვანელ სამუშაოებზე. ამჟამად ის პერსონალური პენსიონერია და შეჰხარის ჩვენი ქვეყნის წინსვლას კომუნიზმისაკენ.

**სპირიდონ კიკაჩეიშვილი**



## ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის

კარმენ ლორია

# ნაღვლიანი მოგონება

თალხსამოსიანი მოხუცი ქალი ხშირად შეივლის ხოლმე ბათუმის რევოლუციურ მუზეუმში, ახალგამოფენილ ექსპონატებს შეათვალიერებს, კარგად გაფორმებულ სტენდებს ჩაუვლის და დიდხანს შეჩერდება ახოვანი ვაჟკაცის სურათთან.

მოხუცი ბათუმში მცხოვრები ლიზა პანინაა. მისი მეუღლე, ივანე პანინი კარგა ხნის წინ გარდაიცვალა. ლიზა მარტო ცხოვრობს და მოხუცებულობის პენსიით ინახავს თავს.

ის ფოტოსურათი, რომელსაც ასე ხშირად ნახულობს ლიზა პანინა, გიგო იოსების ძე მათიაშვილისაა. იგი კამოსა და მისი თანამებრძოლების სურათებშუა მოთავსებული შესაფერი წარწერით.

როცა ლიზა ამ სურათს უცქერის, მისი სახე ნაღვლიანია, ზოგჯერ ცრემლიც დაუცურდება ლაწვებზე. გარეშეთათვის გაუგებარი რომ არ დარჩეს ეს საქციელი, რამდენიმე ათეული წლით უკან მივიხედოთ, სოფელ სართიჭალიდან თბილისისაკენ მომავალ ქალ-ვაჟს გავეცნოთ.

ვაჟი ცამეტ-თოთხმეტი წლისა იქნება, გოგონა ათი-თერთმეტის. აცვიათ ღარიბულად, უსუფთაოდ. გოგონას თვალები ცრემლით აქვს სავსე, სახე — დამწუხრებული და ნაღვლიანი. ვაჟი მხნედ და იმედიანად გამოიყურება, ზოგჯერ მეუსტვენს კიდეც.

— ვაჰ, კმარა, გეყოფა, ნუ სტირი! — შემოხედავს იგი გოგონას! — ობლები განა მარტო ჩვენა ვართ ქვეყანაზე?! ჩავალთ ქალაქში, მოვეწყობი სადმე შეგირდად, ოსტატი გავხდები. ლუკმა გვექნება.

— კარგი, გიგუცა, ეგრე იყოს, აღარ ვიტირებ, — და გოგონა ცრემლიან თვალებს იწმენდს.

— ეგრე, ჩემო ლიზიკო, ეგრე, — სიყვარულით უცქერის ვაჟი. — ტირილს, ცრემლსა და ოხვრა-გოდებას რომ შველა შეეძლოს, ამ ქვეყნად უბედურები არ იქნებოდნენ...

ცხრაასწლებიან ბობოქარ თბილისს არ შეუნიშნავს სართიჭალელი ორი ობოლის შემოხიზნება.

გიგუცა წყალსადენის გამყვან ზეინკალთან მოეწყო შეგირდად, პატარა ლიზა კი ერთ ქალბატონთან დადგა მოახლედ.

გიგუცა მათიაშვილი წყალგაყვანილობის ოსტატი გახდა. მალე ახალი მოძრაობის ხელმძღვანელებსაც დაუახლოვდა და მიაღწია იმას, რომ 1905 წლის დასაწყისში, რსდმპ წევრის გიგო იოსების ძე მათიაშვილის სახელზე ჟანდარმერიამ პირადი საქმე გახსნა და მეთვალყურე მიუჩინა.

ლიზა დაქალიშვილდა, ცხოვრებას გაეცნო, ძმის საქმიანობას თვალს ადევნებდა. მართალია, ახალი მოძრაობისა ბევრი არ გაეგებოდა, მაგრამ ძმასა და მის ამხანაგებს თანაუგრძნობდა, მათ ყოველგვარ დავალებას პირნათლად და წესიერად ასრულებდა; ისიც იცოდა, ყველაფერი, რაც გიგოსა და მისი ამხანაგების მიერ კეთდებოდა, მთავრობის საწინააღმდეგო იყო და საიდუმლოდ უნდა შენახულიყო.

„რა არის მაინც მისთანა? რას აკეთებს გიგო? რისთვის საუბრობს იგი კამოსა და არსენა ჯორჯიაშვილთან ერთად საიდუმლოდ?“ — ეკითხებოდა თავისთავს.

ამის პასუხი ლიზამ მაშინ შეიტყო, როცა არსენა ჯორჯიაშვილის ნასროლი ყუმბარით მეფის ჯალათი გრიაზნოვი აფეთქდა და ხმა გავრცელდა, ის ყუმბარა გიგო მათიაშვილის გაკეთებული იყოო!

ლიზას კარგად ახსოვს, როცა მისი ძმა იარაღს აგროვებდა, ყუთებში აწყობდა და მისი დისშვილის, ალექსი რევაზიშვილის დახმარებით ირანისაკენ მიმავალი მატარებლით აგზავნიდა.

ცნობილია, რომ გიგო მათიაშვილი (შერქმეული სახელით „დადაშე“) ერთ-ერთი მთავარი თანაშემწე და დამხმარე იყო თავრიზში იმ დროს არსებული ფიდუია იმერ-შახმეტის რევოლუციური ორგანიზაციისა, ხოლო შემდეგ გაიქცა და სალმისში იმალებოდა.

საზღვარგარეთიდან ახალდაბრუნებული გიგო მათიაშვილი და მისი უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი კამო, 1913 წლის 10 იანვარს შეიპყრო პოლიციის ზედამხედველმა შულცმა, მათი ვინაობა დაადგინა და საგამომძიებლო ორგანოს წარუდგინა.

უპატრონოდ დარჩენილი ლიზა განერიდა თბილისს, ჩავიდა ბათუმში, იქ ახალგაზრდა ივანე პანინი გაიცნო, მას ცოლად გაჰყვა და გამოცვლილი გვარით დაუწყო თვალთვალი დაპატიმრებულ ძმას.

მათიაშვილი და კამო 1914 წლის 6 დეკემბერს გაასამართლეს. კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლომ ორივეს დახვრეტა მიუსაჯა, მაგრამ 1913 წლის ამნისტიის წყალობით სასჯელი 20 წლის კატორღით შეუცვალეს.

გავიდა დრო. ხალხმა თავისუფლება მოიპოვა, გამარჯვება იზეიმა. დაბრუნდნენ გიგოს თანამებრძოლები, კამოც ჩამოვიდა სამშობლოში, მაგრამ გიგო არ ჩანდა.

ლიზამ ორიოლის საოლქო საკატორღო ცენტრალის ადმინისტრაციას მიმართა შეკითხვით.

ადამიანთა ეს სასაკლაო უკვე აღარ არსებობდა და მის მაგივრად ქალაქ ორიოლის სახ. არქივმა უპასუხა:

„გიგო იოსების ძე მათიაშვილი ორიოლის საკატორღო ცენტრალში მოუყვანიათ 1915 წლის 11 მარტს. 1916 წლის 18 აპრილს ციხის საავადმყოფოს ექიმს ციხის ადმინისტრაციის წინაშე აღუძრავს შუამდგომლობა და უთხოვნია მათიაშვილისათვის, როგორც მძიმე ავადმყოფისათვის, ხელფეხზე ბორკილის მოხსნა, ნავრამ ეს შუამდგომლობა ადმინისტრაციას უარუყვია, ხოლო 1916 წლის 16 მაისს, ციხის ეკლესიის მღვდელი მოახსენებს ინსპექციას რომ პატიმარი, გლეხი თბილისის გუბერნიიდან, სოფელ სართიჭალიდან, გიგო იოსების ძე მათიაშვილი, დაბადებიდან 29 წლის ასაკში 13 მაისს გარდაიცვალა ფილტვების ჭლექით.“

ფილტვების ჭლექი და გიგო?!
მათიაშვილი და ავადმყოფობა?!
გაუგონარია! დაუჯერებელია!

„თუ გსურთ იცოდეთ, როგორი რეჟიმი იყო ორიოლის საკატორღო ცენტრალში, როგორ პირობებში უხდებოდა თქვენს ძმას ცხოვრება, წაიკითხეთ პროფესორ მ. ნ. გერნეტის „მეფის ციხეების ისტორიის მეხუთე ტომი“. — ურჩევს ლიზას ორიოლის სახ. არქივის ხელმძღვანელობა.

ჩვენ გავეცანით აღნიშნულ წიგნს. ორიოლის საკატორღო საპყრობილე წარმოდგენილია, როგორც ადამიანთა სასაკლაო. ამინისტიებითა და სხვა ბრძანებულებით შეწყალებულებს აქ აგზავნიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ აქედან სული ვერ გაეტანათ. აქ გამეფებული რეჟიმის შესახებ ბევრი იწერებოდა რუსეთისა და უცხოეთის პროგრესულ პრესაში, ერთხელ „იუმანიტეში“ ჟან-ჟორესის ხელმოწერით ვრცელი წერილი დაიბეჭდა ამ სასაკლაოს შესახებ, მაგრამ სანამ დიდმა რევოლუციამ არ წალეკა მისი სამყოფელი, მანამდე კვლავ ისეთივე დარჩა, როგორიც იყო.

და დღეს, როცა ლიზა იოსების ასული მათიაშვილი-პანინა მუზეუმში შედის და ძმის და მის თანამებრძოლთა სურათებს ხედავს, როცა საარქივო მასალებიდან ამოკრეფილ ცნობებს ათვალიერებს, ნაღვლიან მოგონებასთან ერთად ერთგვარ სიამაყესა და კმაყოფილებას განიცდის.

დილარ ივარდავა

# ფიქრები ტალღებთან

*ქართველ მეზღვაურთა ხსოვნას*

თოვლია,
თოვლია,
თოვლია, —
უსაზღვრო, ქათქათა თოვლი,
ზღვას სერავს დამფრთხალი თოლია,
ფარფატით,
რიალით, —
თრთოლვით.
ვის ეძებს,
ვის უხმობს,
ვის ელის
წივილით,
წრიალით,
წამებით...
ნაპირზე ტალღაა შიშველი, —
მოაქრიან მღელვარე წამები.
ვდგავარ და...
უსიტყვოდ გავცქერი
ტალღებს და... წარსული ცოცხლდება,
ზღვაში ქუხს სევდათა ჩანჩქერი,
ზღვაში კრთის მდუმარე ოცნება.
სადა ხართ,
სადა ხართ, ბიჭებო, —
ომის დროს ღელვაში გახვედით? —
ეს ტალღა სულში რომ იჭრება,
კვლავ მესმის გმირების სახელი.
სადა ხართ!
წუთები გარბიან
გარბიან წლებიც და... ამაოდ, —
შიგ ჩარჩით!..
ზღვა გექცათ გადიად,
ტალღა კი დაგედოთ მალამოდ?
გელიან მოხუცი დედები,
ცივია ქირხლივით ლოდინი.
ვაი, რომ ზღვის ფსკერზე ბერდებით,
ვაი, რომ ზღვა გაწევთ ლოდივით.
თუმც გამკობთ მზის სხივთა ჩქერალი,
სამშობლოს უშიშარ არწივებს...
თქვენს სიკვდილს ვერ იტყვის ვერავინ —
სიცოცხლე მზისათვის გასწირეთ.
თოვლია,
თოვლია,
თოვლია,
მკაცრია უსაზღვრო თოვლი, —
თქვენ გეძებთ დამფრთხალი თოლია,
წივილით,
ფარფატით,
თრთოლვით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მარგო თოშაძე**

# მინიატურები

მხატვარი დ. ზარაფიშვილი



## ვარდის კოკრები

ადრეულად აცივდა. ყინავს. გახამებულია ყველა გზა, ქვაფენილი, ბილიკი. გახამებულია ცა, მიწა. გახამებულია ეს კოკრებიც, სახლის წინ ვარდის ბუჩქებზე რომ შემორჩენილან.

— გაიყინებიან ეს საცოდავები, — თქვა გოგონამ, დაკრიფა და ოთახში შეარბენინა. საყვავილეში ჩააწყო და მაგიდაზე დადგა. კოკრებმა შვებით ამოისუნთქეს. ლაღად გახსნეს გულისკარი, ირგვლივ საამო სურნელი მოაფრქვიეს. მაგრამ მოხდა ის, რასაც არც ერთი მათგანი არ მოელოდა: მაგიდას ვიღაც ფერმკრთალი ქალი მიუახლოვდა, მისმა ბოხმა ხმამ საშინლად დააფრთხო უმწეო კოკრები. ქალი მაგიდას მიუჯდა, საყვავილეს ხელი მოავლო და ცხვირი ვარდის კოკრებში ჩარგო.

— მარტო ლამაზები არიან ეს ოხრები, არავითარი სურნელი არა აქვთ, — თქვა მან უკმეხად. შემდეგ ჯიბიდან მუყაოს კოლოფი ამოიღო და მაგიდაზე დადო. იქიდან თლილი, მოქნილი თითებით ერთი სიგარეტი ამოაძვრინა, მოუკიდა და მაგრად გააბოლა.

მაჯლაჯუნასავით შემოეხვია ნორჩ კოკრებს თამბაქოს ბოლი. შეწუხდნენ საბრალო კოკრები. საცოდავად აიწურნენ, მოდუნდნენ და პატარა გამჭვირვალე წვეთი ცრემლივით გადმოგორდა ნაზ ფურცლებზე.

ტიროდნენ ვარდის კოკრები.

„თვითონაც იხრჩობა და ჩვენც გვახრჩობსო“, — კვნესოდნენ გულსაკლავად. ნატრობდნენ ყინვისაგან გახამებულ ცას და მიწას. ქალი კი ახველებდა, პირიდან ბოლქვა-ბოლქვად ამოდიოდა თამბაქოს ბოლი და თანდათან უფრო მეტად ეხვეოდა ირგვლივ ვარდის ნორჩ კოკრებს.





## ხელმოუწერელი ბარათი

ის ცხოვრობდა მარტო, ჰქონდა მყუდრო ოთახი და საოცრად ლამაზი ტემბრის ხმა. საუბრობდა საინტერესოდ. უყვარდა მსუბუქი და მახვილი იუმორი. მასთან ყოველთვის იყო ვიღაც, კიდევ ვიღაც. რა მილეთის ხალხი არ მოდიოდა მასთან. თითქმის ყოველ წუთს რეკავდა ზარი. დიასახლისი ყველას ღიმილით უღებდა კარს. აკოცებდა, ტკბილად მოიკითხავდა, სანთელივით დაადნებოდა.

მომწონდა მისი მსუბუქი და მახვილი იუმორი. მას ჰქონდა ძალიან ლამაზი ხელწერა. წერდა ბავშვივით, მრგვალი, კოხტად გამოკვეთილი ასოები მძივებივით იყო მიწყობილი ერთი მეორეზე; ივსებოდა ბწკარები, შემდეგ თაბახები და მე მომწონდა ეს მძივებივით ასხმული სტრიქონები.

ერთხელ ჩემს საყვარელ დაწესებულებაში, სადაც ხშირად დავდიოდი, წამაკითხეს ხელმოუწერელი ბარათი.

— შეუძლებელია, წარმოუდგენელია, დაუჯერებელია! — შევშფოთდი საშინლად.

„მაგრამ ეს ხომ მისი ხელი არის, მისი ლამაზი ხელი, მძივებივით მიწყობილი სტრიქონები. მან დაწერა, ასე საშინლად, უსამართლოდ, ბოროტად. ეს ხომ სიცრუეა, ეს ხომ ცილისწამებაა, დიახ, ეს ცილისწამებაა, მაგრამ ეს ხომ მისი ხელია. რა ვუყოთ, რომ ბარათს ხელს არ აწერს, ეს ნამდვილად მისი ხელწერაა, მე ამ ხელს სიზმარშიც ვიცნობ“, — ვჩურჩულებდი და ნელნელა ჩამოვდიოდი კიბეზე. კიბე უსასრულოდ გაგრძელდა, მეჩვენებოდა, თითქოს უფსკრულში ჩავდიოდი და იქ, უფსკრულში, ის პატარა მყუდრო ოთახი იყო. ისმოდა საოცრად ლამაზი ტემბრის ხმა, ზარის განუწყვეტელი წკრიალი. დიასახლისი აღებდა კარს და ეგებებოდა სტუმრებს ღიმილით. კოცნიდა, ტკბილად მოიკითხავდა. შემდეგ კი ისმოდა სიცილი. სიცილი.

გვიან ღამით კი, მყუდრო ოთახის დიასახლისი ახლობელ ადამიანებზე წერდა საშინელი ცილისწამებით სავსე ბარათებს და ასე ხელმოუწერლად გზავნიდა მათ, სხვადასხვა მისამართით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მუსიკოსი

ყველა ძალიან წუხდა, მას მუსიკაში სამიანი ჰქონდა. დედა ღელავდა. ბებია თვალს არიდებდა. მამა ჩაფიქრებული იყო. სასწავლებლის დირექტორი — გაჯავრებული.

— უნიჭიერესი გოგონაა, — ამბობდნენ მასწავლებლები და ეს სამიანი... როგორც ლაქა გულზე ეცხო ყველას.

— ბოლოს და ბოლოს როდემდე უნდა უწეროთ სამიანი ასეთ შესანიშნავ მოსწავლეს? — მიმართა დირექტორმა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე მისი მუსიკის მასწავლებელს.

— ვიდრე ისე არ დაუკრავს, როგორც მას შეუძლია. — მოკლედ მოუჭრა მასწავლებელმა.

— რა მიყვარს მე ყველაფერზე უფრო მეტად? — ჰკითხა მეორე დღეს გაკვეთილზე მასწავლებელმა გოგონას. გოგონამ თვალები დახარა, პირი ოდნავ გააღო და თითქმის უხმოდ, ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

— არ ვიცი.

— თვით ღმერთსაც არ ვაპატიებ არც ერთ ყალბ ნოტას, — თქვა მასწავლებელმა და გოგონას ისევ სამიანი დაუწერა.

ის არ ტიროდა, არც იბუტებოდა, არც ნაწყენი იყო თავის მასწავლებელზე, მხოლოდ მუშაობას მოუმატა. ყოველდღე რამდენიმე საათი იჯდა და მეცადინეობდა.

დედა და დირექტორი შეთანხმდნენ, რომ მასწავლებელს გამოუცვლიდნენ. დაუძახეს გოგონას.

— ხვალიდან ახალ მასწავლებელთან იმეცადინებ, — უთხრა დირექტორმა. გოგონამ წარბები შეჰყარა. თვალები ფართოდ გაახილა, ჯერ დედას შეხედა, მერე დირექტორს.

— რატომ? — იკითხა გაკვირვებულმა. — მე ძალიან მომწონს ჩემი მუსიკის მასწავლებელი.

— მაგრამ ის შენ სამიანს გიწერს, — მიუგო დედამ.

— მე მივაღწევ, რომ მას მოეწონოს ჩემი დაკვრა, — ჯიუტად გაიქნია თავი გოგონამ.

ის უკრავდა დილით, შუადღით, საღამოს. სულ როიალთან იჯდა... და ახლა, როცა იგი აღიარებული მუსიკოსია, ხშირად იგონებს თავის მუსიკის მასწავლებელს, რომელიც არც ჩხუბობდა, არც ყვიროდა, მაგრამ თვით ღმერთსაც არ აპატიებდა არც ერთ ყალბ ნოტას.

# ბრიგადირი

...შინომ ჭიშკარი შეაღო. სახლიდან სინათლის შუქი გამოკრთოდა. ოთახში ფეხაკრეფით შევიდა. ქმარს ტანგაუხდელს ჩასძინებოდა: დაღლილია. ოთხი სოფლის ტყე აბარია. სადაც ნაჯახის კაკუნს გაიგონებს, იქვე გაჩნდება და თუ უსაბუთოდ მოასწრებს ვისმე, შავ დღეს დააყრის, დაბადებას დაავიწყებს. იციან კიკის ხასიათი და ამიტომ ყველა ერიდება ტყის მცველს...

— გძინავს?

მძინარე შეიშმუშნა.

— მოხვედი?

— გარდამავალი დროშა ისევ ჩემმა ბრიგადამ დაისაკუთრა.

კიკიმ ულვაშებში ჩაიღიმა:

— აბა შენ იცი, „სიბერისას“ თუ არ შემარცხვენ.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. სინათლე ჩაქრა.

...მტრედისფრად რომ ინათა, შინომ ფანჯრის ფარდა გადასწია და მოჭუტული თვალით შეხედა ზეცას.

— დამგვიანებია, — ჩაილაპარაკა.

— სად მიდიხარ ამ უთენია? — გამოეხმაურა ქმარი.

შინომ საოჯახო საქმეები მოათავა. მერე დილის ბინდ-ბუნდში ჩამოურბინა ბრიგადის წევრებს: — აბა, თქვენ გენაცვალეთ, ნუღარ დაიგვიანებთ.

ამინდი კარგს ვერაფერს პირდებოდა მეჩაიეებს. ამიტომაც დარდობდნენ მკრეფავები — ხვავი არ ექნებაო ჩვენს ნამუშევარს. საქმეები კი გამოულეველი იყო: საგულდაგულოდ დამუშავებულ ფართობებში ნორჩი დუყების ზღვა იდგა...

შინო ჭოლარიას არ აშინებდა ბუნების ჭირვეულობა. აგერ, 20 წელია ბრიგადას მეთაურობს. წვიმაა თუ სიცხე, ჩაის პლანტაციაშია. შრომის ასეთი სიყვარული მას მამის ოჯახიდან გამოყვა.

...ნაადრევმა დაობლებამ ფრთები შეკვეცა შინოს ოცნებას. 12 წლის გოგონა შრომის ფერხულში ჩაება.

პატარა იყო, მაგრამ ზედმიწევნით იცოდა თავისი საქმე. მზის ამოსვლამდე იწყებოდა მისი სამუშაო დღე და დაღამებამდე ჩაის პლანტაციაში იყო.

მალე დაწინაურდა გოგონა, მოწინავე მკრეფავებს ამოუდგა გვერდში. ომის წლებში მისი რგოლი, რომელშიც 10 ქალი შედიოდა, საკოლმეურნეო მინდვრებზე წარმატებებს აღწევდა და ყოველ წელიწადს დიდ მოსავალსაც იღებდა.

1947 წელს შინო კოლმეურნეობის გამგეობაში დაიბარეს. მაშინ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბედიის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ თავმჯდომარე ილარიონ შაკაია იყო. გამგეობის სხდომის დაწყებამდე თავმჯდომარემ პირველ ბრიგადაზე ჩამოუგდო საუბარი. ჯერ გაკვრით ახსენა — ამ ბრიგადას კარგი ხელმძღვანელის ხელი აკლიაო.

შინო მიუხვდა. თანხმობის ნიშნად გაჩუმდა.

გამგეობის სხდომამ ერთხმად დაუჭირა მხარი თავმჯდომარის წინადადებას, ჩამორჩენილი ბრიგადის ხელმძღვანელად შინო აერჩიათ.

მეორე დღეს ბრიგადის კრება მოიწვია შინომ. იკამათეს, იდავეს.

— ორნახევარ ჰექტარზე 25 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოვკრიფოთ, — თქვა ბრიგადირმა.

ზოგიერთებმა ეჭვით აიჩეჩეს მხრები. ბოლოს ყველა ერთხმად ალაპარაკდა — გეგმა დიდიაო, ჩაის პლანტაციები არც ისე მოვლილია და შევრცხვებითო.

— ჩვენისთანა ქალია ნათელა ბულისკერია, ჩვენი მეზობელი, — გაიხსენა შინომ.

— ჩვენი გამოცდილება ნათელას გამოცდილებასთან რა მოსატანია, — თქვა იულია შადანიამ და უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

— ჩემო იულია, შენ არ ვიცი რას ფიქრობ, მე კი, რაკი ვალდებულება ვიკისრე, შევასრულებ კიდეც. 0,5 ჰექტარზე გეგმით სამნახევარი ტონა უნდა მოვკრიფო. ვალდებულებას 5 ტონამდე ვზრდი, — თქვა თამარ გაბისონიამ.

მკრეფავებმა ერთმანეთს იმედიანად გადახედეს და დაადგინეს, გეგმით გათვალისწინებული 20 ტონის ნაცვლად 25 ტონა ფოთოლი მოეკრიფათ.

პირველ დღეს ბარაქა არ ჰქონია მათ ნამუშევარს. რა ადვილად ლაპარაკობდნენ გუშინ ტონებზე. სინამდვილე კი უფრო მკაცრი აღმოჩნდა!

— რა მოხდა, რამ დაგაღონათ, ხვალ უფრო მეტს მოვკრეფთ, — გაამხნევა ბრიგადირმა ისინი. მკრეფავები გაჩუმდნენ და დაღონებულები გაუყვნენ შინისაკენ მიმავალ გზას.

ცის კაბადონს თვალის გახელასაც არ აცლიდა ბრიგადირი, განთიადს ფეხზე ამდგარი ხვდებოდა. სოფლის ორღობეში ჩაირბენდა, ჩამოუვლიდა ბრიგადის წევრებს, გაიგებდა, ვინ რა მიზეზით არ იყო სამუშაოდ. მერე, საქმეს რომ გაანაწილებდა, თვითონაც მკრეფავებს ამოუდგებოდა გვერდში და ყოველდღიურად 30-40 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფდა.

ბრიგადირმა გაამართლა ნდობა. სოფელი ალაპარაკდა. რაიონულ და საოლქო გაზეთებშიც დაწერეს ბრიგადის წარმატებებზე.

საპატიო დაფაზე გაჩნდნენ ახალი ადამიანები.

გამარჯვებულ ბრიგადაზე, მის საქმიანობაზე ბევრი კარგი სიტყვა ითქვა.

— მერე რა მოხდა, ხუთი ტონა ზეგეგმითი ნედლეული მოვკრიფეთ, — თავმდაბლად ამბობდა შინო.

ყველას ის ახარებდა, რომ წლების განმავლობაში ჩამორჩენილი ბრიგადა ასე მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

მოწინავე ბრიგადაში წლითიწლობით მატულობს ხვავი და ბარაქა. ხუთწლედის პირველ წელს ბრიგადას 28 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფა. ფაქტიურად 44 ტონა „მწვანე ოქრო“ მისცა სამშობლოს. შინოს რომ ჰკითხოთ, საიუბილეო წლისათვის ეს ციფრი ცოტაა.

დ. ჩაკაბერია

# უანგარო მოღვაწენი

მერე რა, რომ სამშობლოს წინაშე ვალი მოიხადე და თმა თეთრი ვერცხლის ზოლებმა დაგიმშვენეს. თურმე, არც წლებს ჰქონია მნიშვნელობა, მაშინ, როცა ხედავ წინ კიდევ დიდი საქმეა გასაკეთებელი, როცა გრძნობ, შენ კიდევ საჭირო ხარ სხვებისათვის.

საუბარი მახარაძის ქალთა რაიონული საბჭოს ხელმძღვანელს, დამსახურებულ მასწავლებელს ელენე თავართქილაძეს ეხება.

ქალთა საბჭო მახარაძეში 1964 წელს შეიქმნა, მასში ხანდაზმული, ცხოვრებაში გამოცდილი 11 ქალი გაერთიანდა. ამ სამი წლის მანძილზე საბჭო მრავალი საინტერესო საქმის მოთავედ გამოვიდა. საბჭოს ოთახი ყოველთვის სავსეა ქალებით. ქალები ჰყვებიან თავიანთი საჭიროების, სიხარულისა და ტკივილის შესახებ. საბჭოს წევრები გულისყურით უსმენენ მათ. მერე ადგენენ გეგმებს, იწვევენ სხდომებს, ახორციელებენ ღონისძიებებს მოუგვარებელი საკითხების მოსაგვარებლად, ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. რომელ სოფელში, რომელ კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობებში არ ნახავთ ამ დარბაისელ ქალებს...



სოფელ ლიხაურის საშუალო სკოლაში გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეთათვის არ მზადდებოდა თბილი კერძები. ქალთა საბჭო ჩაერია ამ საქმეში და კოლმეურნეობის გამგეობამაც სწრაფად დაასრულა სასადილო-ბუფეტის მშენებლობა.

ქალთა საბჭოს თაოსნობით სოფელ კონჭკათის პირველ ბრიგადაში მოეწყო საბავშვო ბაგა. ახლა ამ ბრიგადის წევრი ქალები, როცა ველზე სამუშაოდ გადიან, არ ღელავენ, რადგან იციან, რომ მათი პატარების ბედი საიმედო ადამიანებს აბარია.

ქალთა საბჭოს ბეჯითი შრომის შედეგია, გურიანთის ჩაის ფაბრიკასთან ქალთა ჰიგიენური ოთახის გახსნა. მისივე ჩარევით გაფართოვდა და კეთილმოეწყო აბრეშუმის ძაფსაღები-საგრეხი ფაბრიკის აბანო, ამავე ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის ეზოში აშენდა საერთო სათავსოები, ახასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის № 1 საბავშვო ბაღის ეზოში გააშენეს ყვავილნარი, მოაწყვეს სპორტული მოედანი, ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის № 2 ბაღის ეზოში დარგეს მარადმწვანე მცენარეები.

ამ შესანიშნავი ქალების ინიციატივით მახარაძეში გაკეთდა შინმოუსვლელთა სტენდი, აიგო ელექტროწისქვილი, შეკეთდა საუბნო გზები.

ჩაის კრეფის სეზონის დასაწყისში ქალთა საბჭოს წევრებმა შეამოწმეს ჭანიეთის, ვაკიჯვრის, თხინვალის, ცხემლისხიდის, შემოქმედის, ნაღობილევის და წითელი მთის კოლმეურნეობების ბაგა-ბაღებისა და ლაითურისა და ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობებში, მერიის, ნატანების, ლიხაურის, გურიანთის, დვაბზუს კოლმეურნეობებში საველე სასადილოების მუშაობა, მათი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

ქალთა საბჭოს წევრები რაიონის ყველა კოლმეურნეობებში მიდიან და ადგილზე ამოწმებენ საველე სასადილოებს. თუ საჭიროა, მზარეულებს იქვე აძლევენ შენიშვნა-მითითებებს.

სამედიცინო პერსონალთან ერთად ქალთა საბჭომ რაიონში ჩაატარა ინფექციურ დაავადებათა საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებანი.

ქალთა საბჭოში შექმნილია სამი სექცია: ბავშვთა შორის მომუშავე, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების სექციები. მათ აღრიცხვაზე ჰყავთ რაიონის სკოლებში აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები. სწავლობენ მათ საყოფაცხოვრებო და სამეცადინო პირობებს, ეხმარებიან სკოლებსა და მშრომელებს აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეების გამოსწორებაში. ქალთა საბჭოს წევრებს თავიანთი წვლილი შეაქვთ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებაში, ყოველწლიურად ახდენენ სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვას, ზრუნავენ მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების პირობების გაუმჯობესებისათვის, შველიან ბინების მშენებლობაში, ეხმარებიან საშენი მასალების შოვნა-გადაზიდვაში.

საბჭოს წევრები დიდ ყურადღებას უთმობენ მუშა ქალების ჯანმრთელობის პირობების გაუმჯობესებას. სისტემატურად ამოწმებენ მათ სამუშაო პირობებს ფაბრიკა-ქარხნებში.

საკონსერვო ქარხანაში ნარეცხი წყალი კანალიზაციის მილში ჩასვლამდე საამქროების იატაკზე იღვრებოდა, რაც აუტანელს ხდიდა მუშების შრომის პირობებს. ქალთა საბჭომ ეს საკითხი დააყენა ქარხნის დირექციის წინაშე და მდგომარეობა გამოსწორდა. მუშათა შრომის შემსუბუქების მიზნით ქალთა საბჭომ არაერთი წინადადება შეიტანა, მათმა განხორციელებამ სასურველი შედეგი გამოიღო. საბჭო დიდ საქმეს აკეთებს რაიონის მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების საქმეში. მისი ინიციატივით შეიქმნა მოძრავი ბიბლიოთეკა, რომელიც წიგნების ბინაზე მიტანით ემსახურება მოსახლეობას.

საბჭოს წევრები ყოველ ღონეს ხმარობენ რაიონის სავაჭრო მაღაზიების, პურის საცხობების, სასადილოების და კეთილმომსახურების ბიუროების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ყველგან წვდება მათი თვალი და გამრჯე მარჯვენა. ისინი ეხმარებიან დედებს ბავშვების სწორ აღზრდაში, ოჯახის განმტკიცებაში, აბამენ ქალებს საზოგადო თუ საკოლმეურნეო საქმიანობაში. აწყობენ ომის ვეტერანებისა და ძველი ბოლშევიკების შეხვედრებს მოსახლეობასთან და მოსწავლეებთან. ფაბრიკა-ქარხნებისა და ბაგა-ბაღების ეზოებს ამშვენებენ და ალამაზებენ ვარდყვავილებითა და მარადმწვანე ნარგავებით. უანგაროდ შრომობენ ეს დარბაისელი მანდილოსნები და დიდსა და კეთილშობილურ საქმეს აკეთებენ ისინი.

თურმე წლებს არ ჰქონია მნიშვნელობა მაშინ, როცა ხედავ, რომ ადამიანებისათვის შენ კიდევ საჭირო ხარ, როცა გრძნობ შენი მონაწილეობით როგორი მიმზიდველი და ლამაზი ხდება ცხოვრება.

ოლია რევია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმღერები სიყვარულზე



ქუთაისის ქალთა სასწავლებლის მოწაფე პატარა გოგონას ხშირად ამღერებდნენ გალობის გაკვეთილზე, სასკოლო საღამოებსა და ოჯახებში მოწყობილ შინაურ კონცერტებზე. გოგონა თითქოს სიმღერებში წამოიზარდა და ერთ მშვენიერ დღეს მისმა სიმღერამ სანდრო ახმეტელი აღაფრთოვანა. სანდროს რჩევით ქალიშვილმა სამედიცინო ფაკულტეტს თავი მიანება და თბილისის კონსერვატორიაში გულმოდგინე მეცადინეობას შეუდგა იტალიიდან ახლადდაბრუნებულ პედაგოგ ა. ჯაყელთან. ახალგაზრდა მომღერლის ძლიერი კონტრალტო ისე თავისუფლად ჟღერდა ყველა რეგისტრში, ისე კარგად ფლობდა იგი ხმას, რომ დასრულებული მომღერლის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ალბათ ამან თუ განაპირობა კონსერვატორიიდან მისი წასვლა. მაგრამ ეს წასვლა სრულებითაც არ ნიშნავდა სწავლისა და ვოკალური დახელოვნებისათვის თავის მინებებას. იმ დროს თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კომპოზიტორი და ფორტეპიანოზე უბადლო აკომპანიატორი ბ. პროზოროვსკი, რომელიც მოიხიბლა თამარის ხმით. ამის შემდეგ პროზოროვსკი სისტემატურად ამეცადინებდა მას, ასწავლიდა ახალ რომანსებს, ხალხურ სიმღერებს, აუფლებდა სიმღერის ტექნიკას. ბ. პროზოროვსკის რჩევით, მომღერალი 1923 წელს მოსკოვში გადადის საცხოვრებლად. აქედან იწყება მისი შემოქმედებითი ცხოვრების მეტად ინტენსიური პერიოდი. აქედან ეფინება ბოშური რომანსებისა და ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლის — თამარ წერეთლის სახელი ჩვენს ქვეყანას. მაგრამ პირველი ნათლობა მაინც სულ სხვაა: დღეს უკვე ხანდაზმულ თამარ წერეთელს გუშინდელ დღესავით ახსოვს პირველი გამოსვლა მოსკოვის თეატრალური სამყაროს წინაშე. 1923 წელს მოსკოვის სამხატვრო თეატრი 25 წლის იუბილეს იხდიდა. დიდმა მსახიობმა ა. სუმბათაშვილ-იუჟინმა თამარა მოამზადა და საიუბილეო საღამოზე ქართული ეროვნული ტანსაცმლით გამოიყვანა. თამარმა ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს „ქართული სიმღერით“ მიულოცა თეატრს სახელოვანი თარიღი. ამ დღიდან მოიხვეჭა მან ბოშური სიმღერებისა და რომანსების უბადლო შემსრულებლის სახელი. მსმენელს უყვარს თამარ წერეთელი, რომელიც არა მარტო საუკეთესო ხმითა და ტექნიკით ასრულებს ბოშურ მელოდიებს, არამედ ბევრი სიახლეც შეაქვს მასში; წმენდავს და ასუფთავებს დროთა ვითარებაში შელახულ ბოშათა ეროვნულ მოტივებს და უმაღლეს საესტრადო ჟანრის სიმაღლეზე აყავს.

მეფის რუსეთში ბოშურ სიმღერებს მხოლოდ კაბარეებსა და ღამის რესტორნებში მღეროდნენ გროშის ფასად დაქირავებული ბოშა მომღერლები. მღეროდნენ ექსცენტრულად, ვულგარული მანერებით და მოდერნიზებული ტექსტით, და ამ ნამდვილმა ხალხურმა სიმღერებმა დაკარგეს ეროვნული სახე, სოციალური და ზნეობრივი მოტივები; ბოშათა მელოდიები შექმნილია გარკვეული სოციალური პირობებით და მასში ბოშათა ცხოვრების მთელი ტრაგიზმია ჩაქსოვილი; ბესარაბიისა და მოლდავეთის უმიწაწყლო ადამიანები მთელი სიცოცხლე მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ზამთარსა და ზაფხულში, თოვლსა და სიცხეში, ქარსა და წვიმაში ბოშები ჯგუფ-ჯგუფად დაეხეტებოდნენ და ეძებდნენ არსებობის საშუალებას. მათ არ გააჩნდათ მიწა და საწარმოო საშუალებანი, იძულებული იყვნენ ლუკმა-პურის საშოვნელად ათასი ხერხი გამოენახათ: მარჩიელობდნენ, ხელოსნობდნენ, მოწყალებას თხოულობდნენ და ზოგჯერ ქურდობასაც მიმართავდნენ. დღიური შრომით და ხეტიალით დაღლილი ბოშები ღამეებს ღია ცისქვეშ ათევდნენ. ანთებდნენ კოცონს, ამზადებდნენ საჭმელს, ისვენებდნენ და თხზავდნენ სიმღერებს გაჭირვებაზე, გამარჯვებებზე, სიყვარულსა და ბედნიერებაზე. წვიმა და ქარი, მთვარე და ვარსკვლავები საზღვრავდნენ მათი მელოდიების ხასიათს, რიტმსა და ტემპს.

ბურჟუაზიული საზოგადოების მიერ შერყვნილი ბოშათა ეროვნული მელოდიები რუს მომღერალთა ნიჭიერმა თაობამ (ა. ვიალცევა, ვ. პანინა, მ. ტამარა, ნ. დულკევიჩი, ა. ორლოვა) გადაარჩინა შებილწვას, ხელიდან გამოგლიჯა კაბარეებსა და ჭუჭყიან ლუდხანებს და ფართო ესტრადაზე გამოიტანა, აღადგინა მისი იდეური საწყისები, დაუბრუნა ეროვნული სახე. მომღერალთა ამ განთქმულ პლეადას ეკუთვნის თამარ წერეთელიც, რომელმაც კიდევ უფრო გაასუფთავა და დახვეწა ბოშური მელოდიები, აღადგინა მასში მოქალაქეობრივი მოტივი და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, შექმნა ბოშური რომანსებისა და ხალხური სიმღერების „კლასიკა“.

თამარ წერეთელმა ბოშური სიმღერებით შემოიარა ჩვენი დიდი სამშობლოს თითქმის ყველა ქალაქი. მისი სიმღერებით აღფრთოვანებული იყვნენ ვ. მაიაკოვსკი და დ. ბედნი, ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გმირი ი. ფუჩიკი, გერმანელი ტრაგიკოსი სანდრო მოისი; ა. ფადეევმა მგზნებარე წერილი მიუძღვნა მის ხელოვნებას.

თ. წერეთლის რეპერტუარში ძირითადად ბოშური რომანსები და ხალხური სიმღერები იყო: „მე ვნახე სიზმარი“, „ჭიშკარი“, „სიჩუმე“, „სიხარული“, „მშვიდობით, ახალო სოფელო“ და მრავალი სხვანი, მაგრამ ხანგრძლივი მოღვაწეობის მთელ მანძილზე არ ივიწყებდა მშობლიურს და ბოშურთან ერთად ყოველთვის მღეროდა ქართულ „რეროს“, „სულიკოს“, ციცინათელას“, „სალამურსა გულში ჩავწვდის“...

თამარ წერეთელი რაღაც განსაკუთრებული მანერით მღეროდა ბოშურ სიმღერებს: კონტრალტო, მაგრამ ჩვეულებრივზე ძლიერი და მეტყველი, ხმის არაჩვეულებრივი ხავერდოვანი ტემბრი, დიდი მუსიკალობა, რომანსის ფსიქოლოგიურ სიღრმეში ჩაწვდომის უნარი, მაღალი გემოვნება და ესტრადულობის მაქსიმალური ლაკონიზმი. თამარი ოთხი ათეული წელი მოღვაწეობდა ესტრადაზე და ყოველთვის არნახული წარმატებით სარგებლობდა. მისი კონცერტები სისტემატურად იმართებოდა მოსკოვის ოპერისა და ბალეტის დიდ თეატრში, კავშირების სვეტებიან დარბაზში და მოსკოვის კონსერვატორიის საკონცერტო აუდიტორიაში. იგი მღეროდა ვოკალური ხელოვნების ისეთ ოსტატებთან ერთად, როგორიც იყვნენ ლ. სობინოვი, ა. ნეჟდანოვა, ი. კოზლოვსკი, ნ. ობუხოვა, ვ. ბარსოვა, ქ. დერჟინსკაია.

დიდი სამამულო ომის პერიოდში თ. წერეთელი მთელი ენერგიით და ხალისით ემსახურება სამშობლოს და სიმღერებით სისტემატურად გამოდის მოქმედი არმიის ნაწილებსა და სამხედრო ჰოსპიტლებში, 1952 წელს, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ქართული სიმღერების პოპულარიზაციისათვის, მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიანიჭა.

თ. წერეთელზე საუბარი არ შეიძლება ისე დავასრულო, რომ არ გავიხსენო მისი მეტად გულთბილი დამოკიდებულება მოსკოვში მცხოვრები ქართველი სტუდენტებისადმი, რომლებიც სამართლიანად ამაყობდნენ სახელოვანი მამულიშვილით და მის ყოველ კონცერტს ესწრებოდნენ. მაგრამ ქართველ სტუდენტობას ხშირად ხელს უშლიდა უსახსრობა და ამისათვის კონცერტის დაწყების წინ ქ-ნ თამარს კულისებში ვუგზავნიდით მოკრძალებულ ბარათს: „კონცერტის მოსმენა გვსურს, ბილეთი ვერ ვიშოვნეთ“. თამარი ყოველთვის კარგად ხვდებოდა უბილეთობის მიზეზს და განკარგულებას აძლევდა ადმინისტრატორს, რომ ყველანი უბილეთოდ შევეშვით. ხშირად, უადგილობის გამო, დარბაზში ქართველი სტუდენტებისათვის დამატებით ჩადგამდნენ ხოლმე სკამებს.

ხანდაზმულმა თამარმა ავადმყოფობის გამო, 1960 წელს, თავი დაანება სიმღერას; იგი კვლავ მოსკოვში ცხოვრობს და მთელი ენერგიით ემსახურება ახალგაზრდა მომღერლების აღზრდის საქმეს, როგორც სსრკ ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლისა და სცენის ვეტერანთა პრეზიდიუმის წევრი. ბოლო დროს თამარ წერეთელი შეუდგა მემუარების წერას — განზრახული აქვს დაწვრილებით გადმოგვცეს ნახული და განცდილი.

**გიორგი ხარატიშვილი**

# კიდევ რამდენი სახელი დაიქუხებს!



ამ სამი ათეული წლის წინ საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ქვეყანას ეძახდნენ. ეს სახელი მას დაუმკვიდრეს ტანვარჯიშის პიონერებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონებმა: გულო რცხილაძემ, გიორგი ბაბილოძემ, ლევან ყანჩაველმა, კოკა თაყაიშვილმა და სხვებმა.

მერე მათი მაგალითით შეიქმნა თბილისში ბავშვთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლა, რომელსაც მიზნად დაუსახეს საერთაშორისო კლასის სპორტსმენების მომზადება, ქართველ ტანმოვარჯიშეთა თაობების აღზრდა.

ჩვენს ქვეყანაში სპორტი ნამდვილად მასობრივი, სახალხო საქმეა. მისი ერთერთი სახეობა — ტანვარჯიში მარტო ძლიერთა მეგობარი როდია, ის სუსტთა დამხმარეცაა. ვარჯიში ანვითარებს ძალას, მოქნილობას, სიმარდეს; სხეული ხდება უფრო მოქნილი და დახვეწილი, ტანი იღებს ლამაზ, სწორ მოყვანილობას. ვარჯიში აუმჯობესებს სუნთქვას, აძლიერებს ტვინში სისხლის მიმოქცევას, აჩქარებს ქიმიურ გარდაქმნებს, აწესრიგებს ქსოვილებში ნივთიერებათა ცვლას. ამიტომაა, რომ ის მსუქან ადამიანებს ეხმარება წონის დაკლებაში, ხოლო გამხდრებს, პირიქით — წონის მომატებაში...

სკოლას მაშინვე მიაწყდა ბავშვთა დიდი ნაკადი. მშობლების ნატვრა — აღზარდონ ჯანმრთელი, ძლიერი შვილები — სკოლის მოწონებაცაა, მაგრამ ამავე დროს, სკოლას სპორტსმენთა მძლავრი არმიის მომზადებაც ევალება.

ამიტომ აქ თავიდანვე ასე დაწესდა: სკოლაში მიიღებიან ბავშვები 9-10 წლის ასაკიდან, სამედიცინო შემოწმებისა და სპეციალური ნორმატივების ჩაბარების შემდეგ. მერე კი, სწავლის პერიოდში, ძირითადი ყურადღება ექცევა ქორეოგრაფიულ და აკრობატიულ სწავლებას.

ამჟამად თბილისის ბავშვთა ცენტრალურ ტანვარჯიშულ სკოლაში 600 მოსწავლეა. ბავშვები აქ მოდიან გაკვეთილებამდე ან გაკვეთილების შემდეგ. ეს მათ ხელს არ უშლის მეცადინეობაში, პირიქით...

სკოლის ბაზა კეთილმოწყობილია. აქვთ ახალი შენობა, სპორტული მოედნებითა და შესანიშნავი სპორტდარბაზი, სადაც თავმოყრილია ყველა სახის სავარჯიშო იარაღები. აქვეა საექიმო კაბინეტი, შხაპები, გასახდელები, კლუბი, ფოტოკინო ლაბორატორია. აქ ყველა პირობაა შექმნილი, რომ ბავშვმა დღეში იმეცადინოს არანაკლებ 6 საათი. მაღალი თანრიგის, საერთაშორისო კლასის სპორტსმენთა მოსამზადებლად საჭიროა სისტემატური, ყოველდღიური ვარჯიში.

წელიწადში ორჯერ ხდება მოსწავლეთა სრული სამედიცინო შემოწმება. სპორტსმენები ისინჯებიან შეჯიბრების წინა დღეებშიც. ტანმოვარჯიშეთა ჯანმრთელობას დარაჯობენ საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი ქეთევან კანდელაკი და ახალგაზრდა მედიცინის მუშაკი ნათელა ჟორდანია.





ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო-კინო ლაბორატორია სპორტულ სკოლაში იგივეა, რაც ფიზიკის ან ქიმიის კაბინეტი საშუალო სკოლაში. აქ სწავლება ხდება ჩვენების მეთოდით. როცა ბავშვი სწორად არ ვარჯიშობს ან ვერ ითვისებს ამა თუ იმ ილეთს, მას ფოტოს უღებენ. 20-25 წუთის შემდეგ ის მწვრთნელთან ერთად კინოკადრის წინ ჯდება და ნათლად ხედავს თავის შეცდომას. ახლა მისი გამოსწორება იოლია...

მომავალ ტანმოვარჯიშეებს წრთვნიან სახელმოხვეჭილი სპორტსმენი პედაგოგები: საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გიორგი ბაბილოძე და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გრიგოლ მამარდაშვილი. პედაგოგებად მუშაობენ საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელები: თინათინ ქოიავა, ემა ქოვლიევა (პირველი მწვრთნელი ქალია საბჭოთა კავშირში, რომელმაც მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიიღო), ნიკოლოზ მახვილაძე, კონსტანტინე გრომოვი, ნოდარ ბახუტაშვილი, გიორგი პაპაშვილი, ოთარ მიქელაძე, გივი ჩხარტიშვილი და სხვები.

დაარსებიდან დღემდე სკოლის დირექტორია საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი მიხეილ იმნაძე. მისი და მთელი კოლექტივის დამსახურებაა, რომ სკოლა სანიმუშოა მთელს რესპუბლიკაში. ამიტომ აქ ხშირად მოდიან სტუმრები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან: ამერიკიდან, კუბიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან, შვეციიდან, იუგოსლავიიდან...

აი, მალის რესპუბლიკის ახალგაზრდობის დელეგაციის, მალის რესპუბლიკის სპორტის საქმეთა კომისრის, ეროვნული ახალგაზრდობის ორგანიზაციის მდივნის გენგორი კულიბალის ჩანაწერი

„ეს სკოლა იმსახურებს იმას, რომ მას მიბამონ იმ ქვეყნებმა, სადაც უცხოელ დამპყრობთა წყალობით ფიზიკური აღზრდა არ არის".

ტანმოვარჯიშეთა ამ შესანიშნავ სამჭედლოში აღიზარდა 70 სპორტის ოსტატი. მის კედლებში სხვადასხვა წლებში ემზადებოდნენ და იწვრთნებოდნენ სახელგანთქმული სპორტსმენები: მზია ჯუღელი, მზია ნინოშვილი, ნოდარ მაკალათია, მიხეილ ბოგუსი, ირაკლი ბალიაური, ნოდარ ფალავანდიშვილი, შოთა აზარაშვილი; სპორტის ოსტატები: ციალა ნოზაძე, სიმონ სხირტლაძე, ციური ადამაშვილი, თამაზ კოხრეიძე და მრავალი სხვა.

აღდგა ძველი ტრადიციები. ახლა საბჭოთა კავშირის ნაკრებში 13 ქართველი ტანმოვარჯიშე სპორტსმენია. 1967 წლის საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ და ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვდნენ: ალექსანდრა ჯანუყაშვილი, როზა ბერიკაშვილი, იური ნინოშვილი, რუსუდან ჯინჭარაძე, მარინა ჩაჩხიანი, მანანა დავითაშვილი, ნატო ჯირაშვილი...

ცამეტი სპორტსმენიდან 9 ამ სკოლის აღზრდილია მართალია, ალექსანდრამ და იურიმ ამ რამდენიმე წლის წინ დაამთავრეს სკოლა, მაგრამ 7 სპორტსმენი კვლავ აქ სწავლობს. მათ ბევრჯერ ისახელეს თავი, გაახარეს აღმზრდელები და ალბათ, მომავალშიც „ნადავლით" დატვირთულნი დაბრუნდებიან.

სკოლის სეიფში აწყვია თასები, პრიზები და ალბომები. კედლებზე და მაგიდებზე სახელმოხვეჭილ, მკერდდამშვენებულ სპორტსმენთა ფოტოებია. აღმზრდელი კერა ამაყობს მათი მიღწევებით.

* * *

სკოლის მოედანზე პატარა ბიჭები ვარჯიშობენ. მათი ნორმატივები ჯერ მარტივია, პირველკლასელები არიან. შავი, ურჩი ქოჩრების სწორებით მარდად, მსუბუქად დარბიან მოედანზე...

ბევრს ურბენია აქ, უვარჯიშნია სხვადასხვა სახეობაში და მერე ამაყად ასულა გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე. ვინ იცის, მათ შორის რამდენი მომავალი სპორტის ოსტატია, რამდენის სახელი დაიქუხებს მომავალში...

ირმა ჩოფიკაშვილი



# პიანინო

უილიამ საროიანი

მოთხრობა



—რატომღაც, ყოველთვის ვღელავ პიანინოს დანახვაზე, — თქვა ბენმა.

— მართლა? — გაიკვირვა ემამ, — რატომ?

— არ ვიცი. ხომ არ შევსულიყავით აი, იმ მაღაზიაში და ის პატარა პიანინო მოგვესინჯა, კუთხეში რომ დგას.

— კი, მაგრამ, დაკვრა შეგიძლია? — ჰკითხა ემამ.

—თუ ჩემს დაკრულს, დაკვრა ჰქვია...

— როგორ უკრავ?

— ნახავ, — თქვა ბენმა.

მაღაზიაში შევიდნენ და პიანინოს მიუახლოვდნენ.

ემამ შეამჩნია, ბენი იღიმებოდა და გაიფიქრა — ნეტავ თუ ოდესმე ამოვიცნობ ამ კაცსო. ერთი წუთით წარმოიდგინა, თითქოს იცნობდა კიდეც ბენს, მაგრამ ფიქრი უცებ საწინააღმდეგო აზრით შეეცვალა. ბენი პიანინოს დაჰყურებდა. ემას აზრით, მას ერთხელ სადღაც მოსმენილი ჰქონდა პიანინოს დაკვრა და სწორედ ასეთი მუსიკა მოსწონდა. კლავიშების დანახვისას ის ბგერები აგონდებოდა და ეგონა, პიანინოსთან ბენსაც რაღაც აკავშირებსო.

— შეგიძლია დაკვრა? — ჰკითხა.

ბენმა მიიხედ-მოიხედა. გამყიდველებს არ ეცალათ.

— არა, არ შემიძლია, — უპასუხა მან.

ემამ შენიშნა, ბენი ნამდვილი პიანისტივით დააცურებდა თითებს თეთრსა და შავ კლავიშებზე. ეუცნაურა კიდეც ეს ამბავი. მას ხომ სულ სხვანაირი წარმოდგენა ჰქონდა ბენზე. ემამ იგრძნო, რომ ბენი დიდხანს მოუნდებოდა საკუთარი თავის ძიებას, და რომ იგი სხვებისთვისაც მეტად გამოუცნობი კაცი იყო, კაცი, რომელსაც პიანინოს დაკვრა უნდა სცოდნოდა.

ბენმა რამდენიმე წყნარი აკორდი აიღო. არავინ ცდილა მიეყიდა მისთვის რამე. იგი ისევ ფეხზე იდგა და უკრავდა, თუმცა ქალიშვილს უთხრა ამას დაკვრა არ ქვიაო, ემას საოცრებად მიაჩნდა ეს დაკვრა.

მხოლოდ ნახევარ წუთს უკრავდა. შემდეგ ემას შეხედა და, კარგად ჟღერსო,— უთხრა.

— მშვენივრად, მშვენივრად, — თქვა ემამ.

— მე პიანინოზე ვთქვი, კარგად ჟღერს-მეთქი, პიანინოზე. შესანიშნავი ბგერები აქვს, განსაკუთრებით პატარა პიანინოს თაობაზე. — მათ შუახნის გამყიდველი მიუახლოვდა და მიესალმა.

— გაგიმარჯოთ, — უპასუხა ბენმა, — კოხტა რამ არის.

— მეტად პოპულარული ინსტრუმენტია. განსაკუთრებით პატარა ბინებისათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაა მოხერხებული. მუშტარი ძალიან ბევრი გვყავს.

— რა ღირს? — იკითხა ბენმა.

— ორასორმოცდაცხრანახევარი. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ივაჭროთ, — უპასუხა გამყიდველმა.

— სად აკეთებენ ამ პიანინოებს? — დაინტერესდა ბენი.

— კარგად ვერ გეტყვით, მგონი, ფილადელფიაში. შემიძლია დაგიზუსტოთ.

— ნუ წუხდებით. თქვენ უკრავთ?

— არა.

გამყიდველმა შეამჩნია, ბენს კიდევ უნდოდა პიანინოს დაკვრა.

— მიდით, დაუკარით, კიდევ მოსინჯეთ.

— მე არ ვუკრავ, — უთხრა ბენმა.

— უკვე გავიგონე, თქვენ რომ უკრავდით, — გამოტყდა გამყიდველი.

— ეს ხომ დაკვრა არაა. ნოტებს ვერ ვკითხულობ.

— ყურს კი კარგად ხვდება და რა ვიცი. — თქვა გამყიდველმა.

— მეც მომეწონა, — ჩაერია ემა, — პირველ გადახდაზე რამდენი უნდა?

— დიდი არაფერი. ორმოცი-ორმოცდაათი დოლარი.

— მიდი დაუკარი, მინდა კიდევ მოგისმინო.

— ეს რომ შესაფერი ადგილი იყოს, საათობით შემეძლო დავმჯდარიყავ პიანინოსთან, — თქვა ბენმა.

— დაუკარი, დაუკარი, ხმას არავინ ამოიღებს.

გამყიდველმა სკამი მიუწია. ბენმა დაკვრა დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ რაღაც მელოდიას მიაგნო და მთელ ორ წუთს აღარ მოშორებია მას. მუსიკა მიწყნარდა და დანაღვლიანდა. ბენს კი უფრო მეტი სიამოვნება ეტყობოდა. სანამ მელოდია გაძლიერდებოდა, იგი გამყიდველს ელაპარაკებოდა პიანინოს შესახებ.

შემდეგ შეჩერდა და ფეხზე წამოდგა.

— გმადლობთ. კარგია, ყიდვა რომ შემეძლოს.

— არა უშავს, ნუ წუხდებით, — თქვა გამყიდველმა.

ისინი მაღაზიიდან გამოვიდნენ. ქუჩაში ემამ ბენს უთხრა: — მე არაფერი არ ვიცოდიო.

— რა არ იცოდი? — ჰკითხა ბენმა.

— შენს შესახებ.

— რა ჩემს შესახებ.

— რომ შენ...

— ჩემი საუზმობის დროა, — თქვა ბენმა. — საღამოობითაა, რომ პიანინოზე ვფიქრობ ხოლმე.

პატარა რესტორანში შევიდნენ, დახლთან ჩამოსხდნენ და ყავა და სენდვიჩი შეუკვეთეს.

— სად ისწავლე დაკვრა? — ჰკითხა ემამ.

— სწავლით არასოდეს არ მისწავლია. ისე კი, სადაც პიანინოს წავაწყდები, ყოველთვის ვცდილობ ხოლმე დავუკრა. რაც თავი მახსოვს, სულ ასე ვაკეთებ. უფულობამ იცის ეს.

ბენმა შეხედა ემას და გაუღიმა. ისევე გაეღიმა, როგორც მაშინ, კლავიშებს რომ დაჰყურებდა ზემოდან. ემას ძალიან ესიამოვნა.

— უფულობა კაცს ბევრ ისეთ რამეს მოაკლებს ცხოვრებაში, რაც კანონით მას უნდა ეკუთვნოდეს.

— მეც ასე ვფიქრობ.

— თითქოს კარგია კიდეც ეს, — თქვა ბენმა, — მაგრამ არც თუ ისე კარგი. სინამდვილეში საშინელებაა. — მან ისევ ისე შეხედა ემას, ემამაც იმგვარადვე გაუღიმა.

იგი ყველაფერს მიხვდა. ესეც პიანინოს ამბავს წააგავდა. ბენს ხომ საათობით შეეძლო გაჩერება პიანინოსთან. ემას ძალიან ესიამოვნა.

რესტორანი დატოვეს და ემპორიუმისაკენ წავიდნენ, სადაც ემა მუშაობდა.

— მაშ, კარგად იყავი! — უთხრა ბენმა.

— ნახვამდის! — თქვა ემამ.

ბენი ქუჩას დაუყვა. ემა კი მაღაზიაში შევიდა. მას მაინც სჯეროდა, რომ ბენი ერთ მშვენიერ დღეს პიანინოსაც შეიძენდა და კიდევ ბევრ სხვა რამეს.

ინგლისურიდან თარგმნა
**ნუგზარ რუხაძემ.**

# ეჟენი კოტონი



**გარდაიცვალა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარე, ცნობილი ფრანგი მეცნიერი-ფიზიკოსი ეჟენი კოტონი. თავისი სიცოცხლის 86 წლის მანძილზე იგი დაუღალავად იბრძოდა ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის.**

**პიერ და მარი კიურების მოწაფე, პოლ ლანჟევენის, ირენ და ფრედერიკ ჟოლიო კიურების მეგობარი, ეჟენი კოტონი დაუღალავად იღვწოდა მეცნიერებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე.**

**ფაშისტური გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდში მხცოვანი მეცნიერი თავის ოჯახის წევრებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა წინააღმდეგობის მოძრაობაში.**

**დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი და ეჟენი კოტონმა დაინახა, რომ საჭიროა თავდადებული ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისათვის. 1945 წლის ზაფხულშივე იგი სათავეში ჩაუდგა საინიციატივო ჯგუფს, რომლის მიზანი იყო ქალთა პროგრესული მასების გაერთიანება მშვიდობის დასაცავად.**

**ქალთა პირველმა საერთაშორისო ანტიფაშისტურმა კონგრესმა ეჟენი კოტონი აირჩია ქალთა ახლადშექმნილ საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარედ და იგი მას სიცოცხლის ბოლომდე უცვლელად ხელმძღვანელობდა. ეჟენი კოტონი იყო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დამაარსებელი ჯგუფის წევრი და ამ საბჭოს აქტიური მებრძოლი. ომის შემდგომ წლებში არ ყოფილა არცერთი წამოწყება, მიმართული მშვიდობის განმტკიცებისაკენ, რომ ეჟენი კოტონს მასში აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს.**

**ასაკი და დიდი ოჯახი მას ხელს არ უშლიდა ყოველთვის ყოფილიყო საბრძოლო მზადყოფნაში ადამიანთა საკეთილდღეოდ მიმართული ღონისძიებების გასატარებლად.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცნობი პოეტი ქალი

ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის ფურცლებს ბევრი პოეტი ქალის სახელი ამშვენებს. სამწერლო ასპარეზზე ადრე გამოსულ ბარბარე ჯორჯაძის გვერდით მე-19 საუკუნის 90-იანი წლების პერიოდულ პრესაში ლექსებს ხშირად ბეჭდავდნენ ნინო ორბელიანი, კატო მიქელაძე, დარია ახვლედიანი და სხვები, რომელთა იდეურ-შემოქმედებითი სამყარო მრავალფეროვანი და საინტერესო იყო.

ამავე პერიოდის ქართველი პოეტი ქალების რიგებს უნდა მიეკუთვნოს ლუბა ქვარიანი, რომლის პიროვნებისა და საქმიანობის შესახებ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ცოტა რამ ვიცით. მისი სახელი შემოგვინახა ლექსების კრებულმა, რომლის დედანი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამ კრებულის ერთერთ ნაბეჭდ ეგზემპლარს მივაკვლიეთ სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის ფონდებში.

ლექსთა კრებული „ქნარი" გამოცემულია ყოველკვირეულ ჟურნალ „მეურნის" რედაქციის ინციატივით 1896 წელს, ქუთაისში. ი. ხეთურელის წიგნის მაღაზიის შეკვეთით, მაგრამ მისი ტირაჟი, როგორც ჩანს, არ გავრცელებულა. ხელნაწერისა და ერთადერთი ნაბეჭდი ეგზემპლარის შემორჩენა დაკავშირებული უნდა იყოს კრებულის აკრძალვისა და კონფისკაციის პროცესებთან.

კრებულის თემატიკა და იდეური მიმართულება უაღრესად პროგრესულ-დემოკრატიული ხასიათისაა. ყოველკვირეული ჟურნალი „მეურნე", რომელიც 1888 წლიდან გამოდიოდა, გლეხთა შეგნების ამაღლებასთან ერთად, მიზნად ისახავდა ხალხის ამ ფენაში მოწინავე იდეების გავრცელებას. ეს მრწამსი მკაფიოდაა გამოხატული კრებულის შინაარსში. მასში წარმოდგენილია ქართული პოეზიის საუცხოო ნიმუშები დ. გურამიშვილისა და ბესიკის დროიდან მე-19 საუკუნის 90-იან წლებამდე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კრებულის 22-ე გვერდზე მოთავსებული ლუბა ქვარიანის უსათაურო, თერთმეტსტროფიანი ლექსი, რომელიც თავისი იდეური გააზრებითა და მებრძოლი, რევოლუციური პათოსით ირ. ევდოშვილის პოეზიას ენათესავება (აღსანიშნავია, რომ ი. ევდოშვილი კრებულში სრულიად არ არის შეტანილი). შედარებით ყველაზე ახალგაზრდა და ნაკლებად ცნობილი ავტორი ლ. ქვარიანი გაბედულად ცხადჰყოფს თავის თავდადებას სამშობლოსა და მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის. იგი მზად არის „ბრძოლაში დალიოს სული", როგორც რჩეულმა რჩეულთა შორის. პოეტი ქალის აზრით, დიდი ხნის ბურუსისა და წყვდიადის შემდეგ „ისევ გაბრწყინდა გულში იმედი", დადგა გადამწყვეტი შეტევის დრო, როცა „წმინდა სისხლს და მსხვერპლს ითხოვს მამული". „თავგანწირვით დაწყებულ ბრძოლაში" აქტიური მონაწილეობისაკენ მგზნებარე მოწოდება, — აი, რა განსაზღვრავს ლუბა ქვარიანის ლექსის იდეურ ღირებულებას, რა ანიჭებს მას გარკვეულ შემეცნებით-აღმზრდელობით და საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივ მნიშვნელობას.

თუ ლექსის პირველ ნაწილში ჩვენს წინაშეა საზოგადოებრივი ცხოვრების უკუღმართობით გულგატეხილი, მარტოობის მწარე ფიქრებითა და სევდიანი განწყობილებით მოცული ლირიკული გმირი, მის მეორე ნაწილში ჩვენ ვხედავთ ამავე გმირის სულ სხვაგვარ, ამაღლებულ და აღგზნებულ სახეს, რომელიც „ამომავალ მზესთან" ერთად გამოაცოცხლა „ბედისგან დევნილ მშრომელთა გუნდის" კვლავ თავგანწირვით დაწყებულმა ბრძოლამ, მათმა სიმხნემ და თავისუფლების იდეალის უსაზღვრო ერთგულებამ.

კრებულის გამოცემის თარიღი (1896) და ლექსის ეს ძირითადი მებრძოლი სულისკვეთება გვარწმუნებს, რომ ლუბა ქვარიანი ერთ-ერთი პირველთაგანია იმათ შორის, ვინც მთელი თავისი შინაგანი არსებით გამოეხმაურა საქართველოში მარქსისტული იდეების გავრცელების საფუძველზე მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის გაშლისა და განვითარების საქმეს. ჩვენი აზრით, სწორედ ეს იქცა კრებულის აკრძალვის მიზეზად, რამაც განაპირობა მისი ხელნაწერი სახით შემორჩენა ჩვენს სინამდვილეში.

რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენთვის დღემდე უცნობი პოეტი ქალის მსოფლმხედველობასა და საზოგადოებრივ მისწრაფებებზე, ქვემოთ ვაქვეყნებთ ჩვენ მიერ განხილული მისი ლექსის სრულ ტექსტს.

გამწარებული, გულ-სევდიანი
ვიჯექ წყვდიადში, ცრემლი მდიოდა,
სიკვდილს ვნატრობდი, მაგრამ სიკვდილი
ჩემკენ არასგზით არ მოდიოდა.
ვგმობდი განვლილ დროს... არც მომავლისგან
სალხენ-საამოს არრას ველოდი;
გული ხსნას მთხოვდა, მაგრამ გულის წყლულს
მე შავდღიანი ვერას ვშველოდი.
აღარა მქონდა იმედის ნაშთიც,
ზედ მაწვა ლოდად ურწმუნო ბნელი
და ბედთან ხანგრძლივ მწარ ბრძოლის შემდეგ
სული მუნჯობდა, როგორც ქვესკნელი.
უიმედობით დავცქერდი სოფელს,
ღამის ძილისგან მიმკვდარინებულს;
შიგ ვჭვრეტდი ხანგრძლივ ბრძოლისგან მოღლილს
მოკლულ-მოქანცულ ტანჯულთა კრებულს.
ვხედავდი ცრემლებს იქ გუბედ ჩამდგარს,
თან ჩემის გულის მესმოდა ბოდვა:
სანამ არსებობს სოფელ-ქვეყანა
არ შეწყდებაო ცრემლი და ცოდვა.
და ჩემს გონებას ბნელი მოედვა,
ლონემ მიმტყუნა სასოწარკვეთილს,
რადგანაც მრწამდა, რომ გამარჯვება
არსდროს წილად არ ხვდება კეთილს.
გამიქრა გულში ყოვლისფრის რწმენა...
იქამდის ვიყავ აღშფოთებული,
რომ მსურდა მუდამ ცრემლში ვმჯდარიყავ,
სოფელ-ქვეყნისგან განშორებული.
ამ დროს ინათა...ამომავალმა
მზემ ცის უფსკრულში სხივნი გასტყორცნა
და ცაზედ მღოღავ ღრუბელთა დასნი
ტკბილის ღიმილით მან გარდაკოცნა.
ასტყდნენ ფრინველნი და ველს მოედვნენ,
ცხოველთ ანაზდად გასდევნეს ძილი,
ყველა შეუდგა დღიურსა შრომას
და კვლავ ცხოვრებამ იწყო დუღილი.
ბედისგან დევნილ მშრომელთა გუნდმა
კვლავ თავგანწირვით დაიწყო ბრძოლა,
და მათმა სიმხნემ გამომაცოცხლა,
მყის ფრთა შემასხა და ამიყოლა.
ისევ გაბრწყინდა გულში იმედი!..
მსურს, რომ ბრძოლაში დავლიო სული,
ვით რჩეულთაგან, ისე ჩვენგანაც
წმინდა სისხლს და მსხვერპლს ითხოვს მამული.

ლექსის ეს უკანასკნელი ბოლო სტრიქონი შეუძლებელი იყო არ შეემჩნიათ ჟანდარმერიის აგენტებს. ცენზორის ნებართვის მიუხედავად, კრებულმა რეპრესია განიცადა, მაგრამ იგი დავიწყების ჟანგს მაინც გადაურჩა.

ვინ იყო ლუბა ქვარიანი? რა იცით მისი ცხოვრების, მოღვაწეობის. რევოლუციური წარსულის შესახებ? ვფიქრობ, მკითხველთა ფართო ინტერესი საშუალებას მოგვცემს ახალი მასალებით შევავსოთ ამ ნიჭიერი პოეტი ქალის მწირი ბიოგრაფია.

აკ. თოფურია.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე

იმ დღეს მე-7 სამკერვალო ფაბრიკის ღვაწლმოსილი მკერავები საგანგებოდ შეიკრიბნენ, რომ გაეხსენებიათ წარსული და თავიანთ შრომითს გამოცდილებაზე მოეთხროთ ახალგაზრდებისათვის. მოგონებებით გამოდიოდნენ ძველი მკერავები: ლოლა სიჭინავა, როზა ღლონტი, სერგეი ვოროშილოვი, ოლღა ქორიძე და სხვები.

დარბაზში იდგა სიცილი, ისმოდა მხიარული შეძახილები. ადგილებიდან უმატებდნენ ნაამბობს, აზუსტებდნენ. თითქოს 20-30 წლით გაახალგაზრდავდნენ, თითქოს ისევ ის ჭაბუკები და ქალიშვილები იყვნენ, პირველად რომ დასხდნენ საკერავ მანქანებთან.

ტრიბუნაზე ავიდა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ გოჩიაშვილი. უჩვეულოდ ღელავდა. ერთად შეკრებილ ამდენ მეგობარს პირველად ხედავდა.

— მარიამ, ნავთით რომ დაგაჯილდოეს, ის გვიამბე, — შეახსენეს დარბაზიდან და მასაც თვალწინ დაუდგა მძიმე წლები, როდესაც უჭირდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს. მოწინავე მუშას ჯილდოდ 10 ლიტრი ნავთი მისცეს. ამაყად მიჰქონდა 19 წლის გოგონას ნავთით სავსე ჭურჭელი სახლში.

შემდეგ კი... შემდეგ ვინ მოსთვლის, რამდენი რამ იყო ცხოვრებაში სამწუხაროც და სასიხარულოც. შრომა უყვარდა და უყვარს. ეს არის ყველაზე ძვირფასი მისთვის. ბევრი საქმე აქვს საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარეს. ისე მიეჩვივნენ მუშები მასთან შესვლას და გულითად საუბარს, რომ ძნელია განსაზღვრო მისი მუშაობის დრო და სპეციფიკა.

— პატივცემულო მარიამ, ბავშვი მინდა ბანაკში გავგზავნო.

— სანატორიუმის საგზურს ვერ მომიხერხებთ?

— რა და რა დასახელების ჟურნალ-გაზეთები შეიძლება გამოვიწეროთ? — დაუსრულებლად შემოდიან, კითხულობენ, სთხოვენ დახმარებას, მხარდაჭერას, ზოგჯერ უბრალო ადამიანურ რჩევას — საოჯახო საკითხში.

— ჩემი მეუღლე მძიმე ხასიათის კაცია, აღარ შემიძლია მასთან ცხოვრება. უნდა დავცილდე, — ეუბნება მარიამს თვალცრემლიანი ახალგაზრდა ქალი.

— ნუ აჩქარდები, ჩემო თამარ, დაფიქრდი. იქნებ სხვაგვარად მიუდგე კაცს, ეცადე, ბავშვებს მამა არ დაუკარგო, — არიგებს ახალგაზრდა ქალს. დიდხანს სხედან ისინი მყუდრო კაბინეტში და საუბარში შეუმჩნევლად გარბის დრო. გულთბილი სიტყვა თითქოს ამსუბუქებს დარდს. მარიამს გულთან ახლოს მიაქვს თითოეული ადამიანის ბედი, მისი ცხოვრება.

— ნადია, რატომ არ მიდიხარ დასასვენებლად, შენ ხომ სპეციალური მკურნალობა გჭირდება, საგზურიც გამოვიწერე შენთვის. ვიცი, მეტყვი ოჯახს ვერ დავტოვებო. არაფერი არ უჭირს. ბავშვები მოზრდილები არიან. მიხედე შენს თავს.

დილით სამსახურში ადრე მიდის და ბლოკნოტში ინიშნავს იმდღევანდელ საკითხებს. ამას ემატება გაუთვალისწინებელი საქმე: ხან პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტში მიიჩქარის თათბირზე, ხან რაიკომშია, ხან საამქროში.



ფაბრიკის საღამოს სანატორიუმ-პროფილაქტორიაში წინათ მხოლოდ 10 კაცი ისვენებდა, ახლა იგი ერთდროულად 40 კაცს ემსახურება და ამ საქმეში მცირე როდია მარიამ გოჩიაშვილის წვლილი. ფაბრიკას კლუბი არ ჰქონდა, სასადილო კი კარგა მანძილზე იყო მოცილებული და მუშები ხშირად ჩიოდნენ: ვცივდებით, გარეთ რომ გავდივართ ზამთარშიო. ბევრი წვალება დასჭირდა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარეს, რათა სასადილოს ახალი შენობა აეგოთ. ძველი სასადილოს შენობა კლუბს დაეთმო. შემდეგ საბავშვო ბაღი, პიონერთა ბანაკი წყნეთში, საბავშვო ბაგა. ვინ მოთვლის, რამდენი იყო საქმე!

„მეტის გაკეთება შეიძლებოდა", — ფიქრობს ზოგჯერ მარიამი. მაგრამ იმისთვის, რაც გააკეთა, იგი დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს პროფსაბჭოს საპატიო სიგელებით...

მაგიდაზე ახალი ჟურნალ-გაზეთები აწყვია. იქვეა ქაღალდების დასტა. განცხადებები, თხოვნა, საბუთები, დახასიათებები, რომლებსაც წაკითხვა, ხელისმოწერა, გადაწყვეტილებების გამოტანა სჭირდება. სამი ათასზე მეტი მუშაა ფაბრიკაში და თითქმის ყველა პროფკავშირის წევრია. მათ საქმეებს რომ მორჩება, შინ წასასვლელად ემზადება.

— შეიძლება, პატივცემულო მარიამ? — იღება კარი და მორიდებით შემოდის ახალგაზრდა მკერავი. მარიამი ერთ ხანს ყოყმანობს, შემდეგ კვლავ სკამზე ჯდება და მოსულს ანიშნებს — მობრძანდი, ჩამოჯექიო.

— აბა, გისმენ, — ეტყვის და თითქოს არ უფიქრია შინ წასვლა, თითქოს არ ყოფილა დაძაბული დღე და არ ყოფილა უამრავი საქმე. ახალგაზრდა ქალი ვერ ამჩნევს, როგორი დაღლილია მარიამ გოჩიაშვილი, იგი ყურადღებით უსმენს, შემდეგ რაღაცას ინიშნავს ფურცელზე და ხვალ შემოიარე პასუხის მისაღებადო, — პირდება. გახარებული სტოვებს ახალგაზრდა მკერავი ოთახს.

მარიამი წასვლას გადაიფიქრებს და მოხერხებულად იკალათებს მაგიდასთან.

**ნანული ჭავჭანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ჯოხაძე

# მეწყერი

მოთხრობა

ტყეში მოქცეულ პატარა მინდორზე მსურდა დამედგა ძეგლი, რომელიც სიყვარულის სიმბოლო იქნებოდა — ჩემი და შენი სიყვარულის სიმბოლო. ჩვენ ბევრჯერ ვყოფილვართ იმ მინდორზე და ძალიან ბევრიც გვიოცნებია. იქნებ აღარც გახსოვს ის მინდორი, შორს რომ გაჰყურებდა მდინარის ხეობას და რაღაც ძალას გვმატებდა ორივეს.

მე განსაკუთრებით ჩვენი ბოლო შეხვედრა დამამახსოვრდა.

შენ არ გახსოვს?

იმ მინდორზე ჩამომსხდართ ღამე ისე წამოგვეპარა, რომ არც შენ და არც მე ყურადღება არ მიგვიქცევია.

მაგრამ რა არის ღამის დადგომა, როცა ნამგალა მთვარე და ვარსკვლავები თავს იწონებენ.

გახსოვს?

— ცაბუ, მითხარი, აქ რომ დავიდგათ სახლი, ხომ არ იქნება ურიგო?

— არა, არ იქნება ურიგო?

— ცაბუ, მითხარი, ძალიან თუ გიყვარვარ?

შენ გაიცინე.

— ცაბუ, მითხარი, ძალიან თუ გიყვარვარ?

ისევ გაიცინე და ჩამჩურჩულე—,,სულელო‘‘. გათენებამდის ვისხედით იქ

იმ ღამეს შენი თმის სურნელი მათრობდა.

ჰო, მართლა: მე მიყვარდა შენი მოკლედ შეჭრილი თმა, ყურის ბიბილოებს ძლივს რომ გიმალავდა.

სწორედ მაშინ მითხარი: თმა უნდა გავიზარდოო.

მე დაგიშალე. არ მინდოდა რომ თმით სხვებს დამსგავსებოდი. მინდოდა ყველასაგან გამორჩეული ყოფილიყავ.

შენ დამეთანხმე — არ გავიზრდიო. მერე მაკოცე.

ეს იყო კოცნა, რომელიც აღარ განმეორებულა და რომელსაც ვერ დამავიწყებს ვერაფერი.

დილით მე ტექნიკუმში წავედი. თან გამყვა შენი სითბო და ეს სითბო ახლაც ყოფნის გულს.

...მერე მოვარდა მეწყერი.

მეწყერს ყველაფერი მიაქვს. და წაიღო ყველაფერი: ის ღამეც, ის ოცნებებიც და ის იმედებიც.

ხალხს სახეზე ღიმილი გაუქრა. რადიო ყოველდღე იმეორებდა: ,,მოისმინეთ საინფორმაციო ბიუროს ცნობა... ჩვენმა ჯარებმა...‘‘

ტექნიკუმი ვერ დავამთავრე. პატარა ქაღალდი გადმომცეს. სამშობლო შველას ითხოვდა. მეც მის ძახილზე გამიწვიეს.

სამხედრო კომისარმა ორი საათით გამანთავისუფლა — შენიანებს გამოემშვიდობეო.

სოფელში გამოვიქეცი, ყველა ვნახე. ყველას გადავეხვიე. გზას მილოცავნენ, მამხნევებდნენ. შენი სახლისაკენ გამოვიქეცი. დაგიძახე. დედაშენმა გამოიხედა. კიბეს ჩამოჰყვა და მომეხვია. მომეხვია ისე როგორც შვილს, როგორც ახლობელს. დედაშენმა ხომ იცოდა ჩვენი სიყვარულის ამბავი.

— ცაბუ რომ არ არის შინ, შვილო?

გული გამეყინა.

ქალაქში იყავი წასული, ბიძასთან.

ყოველ წუთს გელოდა დედა. გრძნობდა, რომ სოფლისაკენ გამოეშურებოდი.

მაგრამ ვერ მომისწარი. დრო კი იწურებოდა. გულდაწყვეტილი წავედი გასაწვევი პუნქტისაკენ.

ცაბუ, დანარჩენი იმ წერილით ვიცი, რომელიც შენგან პირველად მივიღე.

სოფელში აგირბენია. არავის მორიდებიხარ, მივარდნილხარ ჩემს სახლში, რომელიც შემდეგ ჩვენი სახლი უნდა ყოფილიყო და გიკითხავს:

— სად არის?

მერე თურმე შენ და შენი სადედამთილო ტიროდით, ტიროდით და ერთმანეთს ეკვროდით, მაგრამ მეწყერი მოდიდებული იყო და ვერ შეაჩერებდა ვერავის ცრემლი.

ცაბუ, მერე მწერდი: ,,იმ ჩვენს მინდორზე ხშირად დავდივარ, ვლოცულობ იმ დღეზე, როცა კვლავ მივალთ იქ და ვიოცნებებთო...‘‘

მეწყერი კი იმის მეწყერია, რომ დაანგრიოს, დაშალოს ის, რაც ადამიანს შეუქმნია, რაც ბუნებას ხატებად წარმოუსახავს.

მერე ყველაფერი ნისლში გაეხვია. მე აღარ მომიწერია წერილი, აღარც შენგან მიმიღია. ვერც მივიღებდი. შენ ჩემი გზა-კვალი არ იცოდი, არც სხვებმა იცოდნენ.

მეწყერმა ფეხი წამართვა, სახეზე იარა დამაჩნია და ვეღარ გავბედე სოფლად მობრუნება. აღარ მინდოდა შენი შეხვედრა, რადგან ჩვენს საყვარელ მინდორზე ვეღარ გამოგყვებოდი, ვეღარ ვიოცნებებდი შენთან ერთად.

შენი სახელის გაფიქრებაც კი მერიდებოდა. ჯანღონით სავსე ახალგაზრდა უნდა შემხვედროდი ხეიბარს, უშნოს, ულამაზოს.

გახსოვს, მე შეგეკითხე: ,,ხომ არასოდეს მიმატოვებ, ხომ არასოდეს?‘‘

შენ მაკოცე და ამით მითხარი, არასოდესო.

ვიცოდი ასეც იქნებოდა, დროზე რომ დავბრუნებულიყავ, არ მიმატოვებდი.

მეწყერი დამთავრდა. ჩემი ამბავი აღარსაიდან ისმოდა. ამას მე განგებ ჩავდიოდი, მსურდა ყველას დავვიწყებოდი. მერე გაიარა ათმა დიდმა წელმა. მე შორს ვიყავი შენგან.

...ბუნება თავისას ითხოვს. არა! ვფიცავ იმ ჩვენს ოცნებას, რომელიც გულიდან არ წამიშლია, შენ არ გამტყუნებ. არავის ვამტყუნებ იმ მეწყერის გარდა, და ვლოცავ დედაჩემს, რომელმაც გითხრა:

— ცაბუ, შვილო, ჩემ შვილს არ ეღირსა შინ დაბრუნება. ნუ მოიშხამავ სიყმაწვილეს. კარგი იყო, ჩემი ერთას ბედი ასე არ შემოტრიალებულიყო. გათხოვდი, შვილო, გათხოვდი. ისე დაგლოცავ, როგორც ჩემს ქალიშვილს. ბედს ეწიე, შვილო.

ეს ყველაფერი მერე გავიგე.

უარი გითქვამს. მაგრამ... გზას დადგომიხარ. კარგი ბიჭიაო, ამბობენ.

ძვირფასო, ნურც მე გამამტყუნებ: უცხო მხარეში ვეღარ გავძელი, გული სულ შინისაკენ მომიწევდა. მეშინოდა კი პირველი შეხვედრისა.

...მკვდრეთით ამდგრად მიმიღეს. მთელი სოფელი შეიკრიბა. შენ დაგეძებდი, არსად ჩანდი. სიმართლე გითხრა, არც მინდოდა შენი შეხვედრა. მაინც დაგეძებდი.

მერე გავიგე ყველაფერი. მითხრეს — კარგი ბიჭიაო.

და ბედნიერი ვარ შენი ბედნიერებით.

და აი, გაგიგია ჩემი დაბრუნება. ნახვა გინდოდა თურმე. ვერ წამოსულხარ.

კარგი გიქნია. რა საჭიროა?

ახლა ვზივარ ჩემი სახლის აივანზე და გავცქერი ჩვენს მინდორს. მაგრამ იგი ჩვენი აღარაა. იქ ახლა სხვა წყვილები დადიან და გასცქერიან ხეობას. ვლოცავ იმ წყვილებს, და ვიცი, არც შენ შეხედავდი მათ შურით. ვიცი, რაზე ფიქრობენ ისინი.

ვაჟი ეტყვის:

— მითხარი, ძალიან თუ გიყვარვარ?

ქალი გაიცინებს.

ვაჟი არ მოეშვება.

— მითხარი, მითხარი, ძალიან თუ გიყვარვარ?

ქალი აკოცებს და ყურში ჩასჩურჩულებს — ,,სულელო‘‘.

და ისინიც გათენებამდე დარჩებიან იქ

დაე, ისინი იყვნენ ბედნიერნი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეხუთე ქალი — ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში

ეს ნელი ზაქსია, გერმანელი პოეტი ქალი. შეიძლება ის ისე ცნობილი არაა, როგორც მისი გამოჩენილი წინამორბედნი იყვნენ — შვედი სელმა ლაგერლიოფი, ნორვეგიელი სიგრიდ უნსეტი, ამერიკელი პერლ ბაკი და ჩილიელი გაბრიელა მისტრალი. ეს მაღალი ჯილდო ნელი ზაქსს გადაეცა 1966 წლის 10 დეკემბერს, მისი დაბადების 75 წლისთავზე.

ვინ არის ნელი ზაქსი? ნუთუ მართლა ასე ნაკლებადაა ცნობილი? ნელი ზაქსი დაიბადა ბერლინში 1891 წელს, მეტად განათლებული მრეწველის ოჯახში. 17 წლისაც არ იყო, როცა მისი პირველი პოემები დაიბეჭდა სხვადასხვა ჟურნალებში. 1921 წელს გამოვიდა მისი ლექსების კრებული, მოთხრობები და ლეგენდები, მიძღვნილი სელმა ლაგერლიოფისადმი. შემდეგ ამას მოჰყვა ნაწარმოებები, რომელთაც 20-იანი წლების მოდური ექსპრესიონიზმის კვალი აჩნდათ. 1988 წელს ხელისუფლების სათავეში ფაშისტური მთავრობის ჩადგომასთან ერთად, შეწყდა ნელი ზაქსის ლიტერატურული კარიერა. იგი იძულებული გახდა დამალულიყო თავის მშობლიურ ქალაქში, და მხოლოდ ამით გადაურჩა 1940 წელს საკონცენტრაციო ბანაკს. როგორც იქნა, მან მოახერხა გადასვლა შვეციაში. პირველ წლებში ნელი ზაქსმა ვერ შეძლო ერთბაშად აღედგინა მორალური და ფიზიკური წონასწორობა, რათა მთელი სიძლიერით გამოეთქვა წარსულის შემზარავი შთაბეჭდილებანი, და იმ ხანად ხელი მოჰკიდა შვედი პოეტების ლექსების თარგმნას და გერმანელი მკითხველების ფართო წრეს გააცნო შვედური ლირიკა.

მხოლოდ 1947 წელს უბრუნდება ნელი ზაქსი პოეტურ შემოქმედებას და გამოსცემს წიგნებს: „ვარსკვლავის დაბნელება“, „გაქცევა და სახეცვლილება“, „და არავინ იცის, როგორ მოიქცეს“. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, მისმა თავისებურმა პოეტურმა ნიჭმა თავი იჩინა ადამიანისა და მთელი ხალხის წამების სურათების ახსნაში.

1958 წელს პოეტმა ქალმა მიიღო შვედ ლირიკოსთა ასოციაციის პრემია, უფრო მოგვიანებით ქალაქმა დორტმუნდმა მიანიჭა მას თავისი ლიტერატურული პრემია. 1960 წელს ზაქს მიეკუთვნა დროსტის პრემია, რომლითაც ჯილდოვდებიან მხოლოდ პოეტი ქალები.

1956 წელს ნელი ზაქსი დაბრუნდა გერმანიაში, სადაც მიიღო პრემია გერმანიის წიგნების მაღაზიებისა (ეს პრემია პირველად მიიღო ქალმა).

1966 წელს ნობელის პრემიამ დააგვირგვინა შემოქმედება ნიჭიერი ქალისა, რომელმაც კითხვაზე — ებრაელია ის, შვედი თუ გერმანელი — გასცა პასუხი: „უპირველეს ყოვლისა, მე ვარ ადამიანი“.

ჟურნალი „ჟენშჩინი მირა“

# ძვირფასო რედაქციავ!

აგერ, რამდენი ხანია, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ვიღაცამ შიგ გულში ჩამკრა მახვილი და იარიდან წვეთ-წვეთად მოჟონავს სისხლი...

ვიცი, არ არსებობს ქვეყნად მალამო, რომელიც ამ სატკივარს მომიშუშებდა... ვიცი ვერაფერს მიშველით და მაინც გწერთ... მიიღეთ ეს სტრიქონები, როგორც აღსარება ქალისა, რომელმაც თვითონ წაართვა საკუთარ თავს ყველაზე ძვირფასი, რაც მას ჰქონდა. და კიდევ მინდა ისიც იცოდეთ, რომ ეს სტრიქონები თქვენი ჟურნალის 1966 წ. № 10-ში მოთავსებულმა „დაუმთავრებელმა დღიურმა“ დამაწერინა...

„თარგმნილი ინგლისურიდან“ — ჰქონდა ამ დღიურს მინაწერი, მაგრამ არა, ეს იყო ჩემი შვილის დღიური. ჟურნალის გვერდიდან ჩემი პატარას საყვედურით სავსე თვალები შემომცქეროდნენ. ხელი, რომელმაც ეს მოურჩენელი ჭრილობა მომაყენა, ჩემივე შვილის ხელია — ზრდადაუსრულებელი პაწაწა ხელი.

...მაშინ მე და ჩემი მეუღლე ინსტიტუტის ბოლო კურსზე ვიყავით და გარდა სტიპენდიისა, პატარა ნაქირავები ოთახისა და დიდი ოცნებებისა, არა გაგვაჩნდა-რა. და კიდევ გვქონდა ერთმანეთის სიყვარული, დიდი სიყვარული, რომელმაც სამი თვის წინ, იმ პატარა ოთახის ერთ ჭერქვეშ შეგვყარა.

ერთი წელიღა გვრჩებოდა ინსტიტუტის დამთავრებამდე, მხოლოდ ერთი წელი, როდესაც ვიგრძენი, მალე დედა უნდა გავმხდარიყავი, ვიგრძენი და შევშფოთდი!

ინგრეოდა გეგმა, რომელშიც ჯერჯერობით დედობას მესამე-მეოთხე ადგილი ეკავა, მანამდე კი ინსტიტუტის დამთავრება, ასპირანტურა და...

ერთი სიტყვით, მეც მოვიქეცი ისე, როგორც ხშირ შემთხვევაში, ჩემს მდგომარეობაში მყოფი ქალები იქცევიან. ის იყო და ის!

დღეს მე და ჩემ მეუღლეს სამეცნიერო ხარისხებიც გვაქვს და საზოგადოებრივი წონაც, კარგი ბინაც და მოწყობილი ცხოვრებაც, მაგრამ უდიდესი ბედნიერება, რომელსაც ერთხელ ვკარი ხელი, შემომწყრა და აღარ დამბრუნებია.

მინდა ჩემს აღსარებაში ბოლომდე გულწრფელი ვიყო და ვაღიარებ: არ შემიძლია შურით არ ვუცქერდე ქალს, რომლის მკერდქვეშ მეორე პატარა სიცოცხლე ფეთქავს, დედას, რომელსაც თავისი პატარა უჭირავს ხელში, ან კალთაზე ეპოტინება. დედას, რომელსაც მოსწრებული ვაჟკაცი ან ქალიშვილი მოჰყვება გვერდით...

ეჰ, რა სიამოვნებით ვიტყოდი უარს ყველა იმ „მიღწევებზე“, რაც მე და ჩემს მეუღლეს დღესა გვაქვს და დავუბრუნდებოდი სტუდენტობას, სტიპენდიას და იმ პატარა ნაქირავებ ოთახს, ოღონდ დამბრუნებოდა ის, რაც მაშინ დავკარგე — დედობის სიხარული.

მამშვიდებენ, შენს უბედურებაში მარტო არა ხარ, ქვეყნად შენისთანა ბევრია, მაგრამ რა დამამშვიდებს! რა დამამშვიდებს ამ ჩემს დიდ, სამარესავით დადუმებულ ბინაში. რა დამამშვიდებს, როდესაც ჩემი შვილის „დაუმთავრებელი დღიურიდან“ შემომცქერიან მისი შუქჩამქრალი, საყვედურით სავსე თვალები...

მ. ნ.

# ჩვენი საოჯახო კლუბი

მანქანების მართვა და სხვა. ასევე ინაწილებს იგი ზრუნვას ბავშვების მოვლა-აღზრდაზე და სწორედ ამ გარემოებამ გამაბედვინა ოთხი შვილის გაჩენა.

ახლა ბინაც კარგი გვაქვს, შრომაც შედარებით გაიოლებული, მაგრამ ქალის განთავისუფლებისათვის, ე. ი. მისი ოჯახური შრომის შემსუბუქებისათვის, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

მანამდე კი...

ჩემმა შვილებმა (გვყავს 3 ვაჟი: 14, 12 და 9 წლისანი და 5 წლის გოგონა) მამისაგან ისწავლეს აუცილებელი საოჯახო საქმიანობა და, რაც მთავარია, შ რ ო მ ი ს პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ა.

დღესდღეობით ჩემი ოჯახის წევრებს ამ საქმიანობაზე 30-40 წუთი ეხარჯებათ, რაც ჩემი

ადამიანურობის რომელ კანონში სწერია, რომ ოჯახური კოლექტივის ერთი წევრი ემსახურებოდეს ყველას და ამავე დროს მამაკაცის თანაბრად შრომობდეს ოჯახის გარეთაც?

III. რით ვლახავ მე ჩემი მეუღლის „ვაჟკაცურ თავმოყვარეობას?" იმით, რომ საკუთარი შრომითი მაგალითზე ვზრდით ოთხ წესიერ მოქალაქეს და არც ერთ პარაზიტს? ნუთუ ის უკეთესი ვაჟკაცია და მეტი პატრიოტი, ვინც მეტ დროს ანდომებს სამშობლოს სადღეგრძელოებს, ვიდრე სამშობლოს გაძლიერებაზე ზრუნვას, ე. ი. ზრუნვას საკუთარი ოჯახის გაზრდასა, აღზრდასა და განმტკიცებაზე?

თბილისი. ზ. მ.

ძვირფასო მკითხველო! რედაქციამ საჭიროდ სცნო, გამოაქვეყნოს ნაწყვეტები სხვადასხვა დროს მიღებული კიდევ რამდენიმე წერილიდან.

# დედა, მეუღლე, დიასახლისი

გუშინ მე და ჩემი კარის მეზობელი შევკამათდით. არა, ეს არ იყო მეზობლების წაკინკლავება, — ეს იყო პრინციპული დავა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს დედა, მეუღლე, დიასახლისი.

ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. ვიცნობთ კი არა, მე და ნინო სკოლის ამხანაგებიც ვართ და ახლაც, აგერ, 15 წელია დაოჯახებულები ერთმანეთის გვერდი-გვერდ ვცხოვრობთ, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავებულად.

მინდა ამის შესახებ გიამბოთ, მინდა ჟურნალის მკითხველების (განსაკუთრებით მამაკაცების) სამსჯავროზე გამოვიტანო ჩვენი ცხოვრება და მოგისმინოთ, მეკუთვნის თუ არა ნინოს მიერ წამოყენებული ბრალდებანი, რომ: 1. მე ვარ ეგოისტი, 2. ექსპლოატაციას ვუწევ ქმარ-შვილს, 3. არ ვუფრთხილდები ჩემი მეუღლის ვაჟკაცურ თავმოყვარეობას.

მაშ მისმინეთ:

მე და ჩემი მეუღლე სხვადასხვა დარგის მუშაკები ვართ, მაგრამ თანაბარი დატვირთვა გვაქვს და ხელფასიც თანაბარი.

ჩვენ დაოჯახებისთანავე ვიცოდით, რომ იოლი ცხოვრება არ გვექნებოდა. მაშინ არც კეთილმოწყობილი ბინა გვქონდა, არც ასეთი საყოფაცხოვრებო მომსახურება, იყო მხოლოდ ბაგა-ბაღები და ჩვენც ისე უნდა აგვეწყო ოჯახური საქმიანობა, რომ შვილებიც კარგად აღგვეზარდა და ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემაც შეგვენარჩუნებია.

მართალია, ამის შესახებ არც სჯა-ბაასი გვქონია, არც დავა, მაგრამ ჩვენ-ჩვენთვის თავიდანვე განვსაზღვრეთ, რას ვთმობთ და რას არა. უფრო ს[?]რად რომ ვთქვა, ეს ქმარმა განსაზღვრა, რადგან ვფიქრობ, დღეს ჩვენი ოჯახების კეთილდღეობა ბევრადაა იმაზე დამოკიდებული, რას დათმობს მამაკაცი — მამაკაცთა მოდგმის მიერ საუკუნეობით დაპყრობილი პოზიციებიდან. და აი, ჩემმა მეუღლემ პირველი დღეებიდანვე დაიწყო „ქალის" შრომის განაწილება: ე. ი. თავისი თავის მოვლა, ოჯახის მომარაგება, შემდეგ — მტვერსასრუტისა და იატაკის საპრიალებელი

დროის ბიუჯეტს დღიურად 2-2½ საათით ზრდის. და მართალია, მე იმაზე ბევრად მეტი შრომა მიწევს, რაც ყველას ერთად, მაგრამ დაღლასაც ვერ ვგრძნობ, რადგან ბედნიერი ვარ, ბედნიერი, როგორც კი შეიძლება იყოს 4 შვილის დედა, კარგი ადამიანის მეუღლე და მყუდრო, მხიარული ოჯახის დიასახლისი, ოჯახისა, სადაც მეგობრებსაც მოუხარია და ნათესავებსაც.

არ იფიქროთ, რომ ჩვენს ოჯახში ხმამაღალი სიტყვა არ თქმულა, — ხანდახან ბავშვებიც წაკინკლავდებიან, ჩვენც წავლაპარაკდებით, მაგრამ ცხოვრება არის ცხოვრება!

...ნინომ ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა და თავის თანაკურსელს გაჰყვა ცოლად.

და იქნებ ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მაგრამ... მაგრამ, მოგეხსენებათ, ოჯახი სკოლაა, სადაც მისი წევრები ურთიერთგავლენით იზრდებიან და ნინომ ვერ გაართვა თავი ამ ამოცანას. მან სცადა ბებიების დროის ყველა ტრადიციების შეთავსება დღევანდელი ქალის საქმიანობასთან და ოჯახის მთელი სიმძიმე მხრებზე წამოიკიდა.

ამ პირობებში ნინომ მხოლოდ ერთი შვილის გაჩენა შესძლო და ქმრისა და იმ ერთი შვილის მოვლას ეწირება მისი მთელი დრო და ფიზიკური ძალა. ამ ზრუნვით იწყება და მთავრდება, დიახ მთავრდება ნინოსთვის დღე, რადგან დღის ბოლოს მას „ოჯახის მსხვერპლის" ისეთი მძიმე როლი აქვს შეფერებული, რომ ქმარიც ვერ უძლებს მის ყურებას და ნაცნობ-მეგობრებთან გარბის, რომ იქ შესვას თავისი „სათაყვანებელი" ოჯახისა და ქართველი ერის სადღეგრძელო.

არ იფიქროთ, ეს სურათი ვისიმე დასამცირებლად დამეხატოს. უბრალოდ მინდოდა გაგეცნოთ ცხოვრება ადამიანისა, რომელიც ბრალს მდებს, რომ... მაგრამ, ამის შესახებ ზემოთ მოგახსენეთ.

ახლა გთხოვთ მიპასუხოთ:

1. შევძლებდი თუ არა მე სამსახურს, თან ოჯახის გაძღოლას და ოთხი შვილის წესიერად აღზრდას, რომ გვერდით არ მედგეს ნამდვილი მეუღლე და რაში გამოიხატება ჩემი ეგოიზმი?

II. რით ვუწევ ქმარ-შვილს ექსპლოატაციას, ვის უვლიან ისინი მე, თუ საკუთარ თავს? ან

# გამგები გაიგებს

„... ჩემს ვინაობას არ გწერთ, — რა საჭიროა? ისეც მიხვდება, ვისთვისაც იწერება ეს სტრიქონები.

ჩაის მკრეფავი ვარ. რაიონი ხელისგულზე მატარებს და ოჯახშიც კარგად მაქვს საქმე, მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული: ქმარი გაუიდიდკაცდა და გაზარმაცდა.

მე რომ ამხანაგებს ვეჯიბრები, ტოლებში რომ მოწინავე ვიყო, რაიონიც ვასახელო და თავიც ვისახელო, ის საკოლმეურნეო შრომას გაურბის, ჩემს ნაშოვნ ფულს ფლანგავს, არხეინად ატარებს დროს და ოჯახშიც ხომ ჩხირს არ აბრუნებს. მაგრამ ვაი ჩემს დღეს, თუ კარგად ჯერ მოვემსახურე. იქნებ, ჩემს დღეში სხვა ქალებიც არიან?"

გეგეჭკორის რაიონი.

# რატომ არაფერს ვეუბნებით?

„...ეს ოჯახი ჩვენს გვერდით ცხოვრობს. ქმარი მუშაობს, ცოლი არა — არც შინ, არც გარეთ. ერთი შვილი ჰყავთ და იმასაც დედა ხან ვის მიუგდებს, ხან — ვის. და მიდი-მოდიან ოჯახში ბავშვის ნაირ-ნაირი „აღმზრდელები"... თვითონაც „უქმად" როდია, გარბი-გამორბის: საპარიკმახეროში, მაღაზიებში, მკერავებთან, მეგობრებთან...

მსუბუქი ყოფაქცევის ქალი არ ჰქვია, — პირიქით, ყველგან მილებულია, მამაკაცები პატივისცემის ნიშნად ხელზე ჰკოცნიან, მხოლოდ ესაა, ოჯახისა და შვილისათვის არ სცალია, რა ქნას, არ სცალია!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბოლოს... როდესაც მოხდება ის, რაც უნდა მომხდარიყო, მშობლებს უკვირთ, რა მოუვიდა ბავშვს? მას ხომ არც საჭმელი აკლდა, არც სასმელი, არც ტანსაცმელი?..

**სამწუხაროდ, ამგვარ სურათს ზოგჯერ ისეთი თანამდებობის პირის ოჯახშიც ნახავთ, ვისაც ბევრი მოეთხოვება.**

**რატომ არ ვთხოვთ?**

**რატომ არაფერს ვეუბნებით?"**

**თბილისი**

# ასეც ხდება

**„...ჩვენს სოფელში ცხოვრობს ცოლ-ქმარი, შრომის პენსიონერები. მათი შვილები თავ-თავისი ოჯახებით ცალკე სახლობენ, მშობლებისაგან არაფერს მოითხოვენ, პირიქით, შეძლებისდაგვარად ეხმარებიან. და ცოლ-ქმარიც ბედნიერად იცხოვრებდა, მაგრამ ქალს ჰგონია, ოჯახში საქმეს ქმარი უნდა აკეთებდეს და მთელი საქმიანობა: სახლის დალაგება, იატაკის წმენდა, სარეცხის რეცხვა, ქათმების მოვლა და ხშირ შემთხვევაში სადილის კეთებაც კი ქმარს გადაავალა. თვითონ ხან ერთ შვილთანაა, ხან მეორესთან და თუ შინაა, მეზობლებში სეირნობას და ჭორიკანობას უნდება.**

**ასე გაიგო ზოგმა ქალმა მამაკაცთან უფლებრივი გათანაბრება!"**

**სიღნაღის რაიონი.**

## კოსმეტოლოგის რჩევა

# ზაფხულის ცხელ დღეებში...

ზაფხული ძალაში შევიდა. მზეს მცხუნვარება მოემატა. მის სხივებს სიცოცხლე, ძალა და ჯანმრთელობა მოაქვს, ამიტომ უხდება ადამიანის სხეულს მზის აბაზანები. მაგრამ ყველაფერს ზომიერება სჭირდება. მზის აბაზანებს იღებენ ზღვის პირას, მთაში, მინდორში. აბაზანა ჯობს დილით მიიღოთ, როცა მზე ჯერ ისე მწველი არაა. ამ დროს, თუ ძალიან მშრალი კანი არ გაქვთ, ნუ წაიცხებთ კანზე ნურავითარ კრემს.

ზღვის მლაშე წყალი ძალიან უხდება ცხიმოვან კანს, მშვენივრად მოქმედებს ის მუწუკებიან კანზეც. მაგრამ ზოგ კანს აღიზიანებს და აუცილებელი ხდება ზღვაში ბანაობის შემდეგ შხაპის გადავლება, ზოგჯერ კი დამამშვიდებელი კრემის წასმაც.

საერთოდ, შხაპის მიღება ზაფხულში აუცილებელია, დილით და საღამოთი. თუ ამის საშუალება არ გვაქვს, ძალიან კარგია ტანის დაზელა ოთახის ტემპერატურის წყლით. ტანის დაზელა უმჯობესია დილით.

ორგანიზმზე შესანიშნავად მოქმედებს ჰაერის აბაზანებიც. ჰაერის აბაზანებს იღებენ ჩრდილში. უმთავრესად დღის პირველ ნახევარში.

ამრიგად, ზაფხული ძალაშია. ქალებს აახალგაზრდავებს, გოგონებს კი სინორჩეს მატებს ჭრელ-ჭრელი კაბები და მზით გარუჯული ყელ-მკლავი. მაგრამ თავის მოვლა ახლა უფრო გვმართებს და დღეში ერთხელ მაინც აუცილებელია ტანზე თბილი წყლის გადავლება.

დილით სახე გაიწმინდეთ პამიდვრის ან კიტრის წვენში დასველებული პურის გულით, შემდეგ კი ცივი წყლით მოიბანეთ და სულ ოდნავ გადაისვით მკვებავი კრემი. თუ ცხიმიანი კანი გაქვთ, კრემი მხოლოდ თვალებთან წაისვით, თორემ გაფართოებულ ფორებში ფერიმჭამლები გაჩნდება. ცხიმიანი კანი ყოველდღიურად უნდა გაიწმინდოს თბილი წყლითა და საბავშვო საპნით, შემდეგ კი ფრთხილად შემშრალდეს.

მაგრამ, როგორი კანიც არ უნდა გქონდეთ, — მშრალი, ცხიმიანი თუ ნორმალური, — გამოიყენეთ ზაფხულის მთელი სიუხვე. ზაფხულში იმდენი ხილია, იმდენი ბოსტნეული! ხენდრო, ბალი, ატამი, ვაშლი, პამიდორი, კიტრი, სტაფილო, და ვინ მოთვლის, კიდევ რა ხილი და ბოსტნეული. — ისინი კი შესანიშნავი კოსმეტიკური საშუალებებია .ამიტომ გირჩევთ, ზაფხულში ხშირად გაიკეთოთ ხილისა და ბოსტნეულის ნიღბები.

1. ბამბის თხელი ფენა დაასველეთ დაჭყლეტილ ხენდროში ან სხვა რომელიმე ხილ-ბოსტნეულის წვენში და სახეზე დაიფარეთ 20 წუთით (ამ დროს აუცილებლად გულაღმა უნდა იწვეთ). შემდეგ მოიბანეთ სახე და წაისვით მკვებავი კრემი, ქუჩაში გამოსვლის წინ კი გადაისვით რომელიმე მზისგან დამცველი კრემი: „ავრორა", „მოლოდოსტ", „ბერიოზოვი", „ოტ ზაგარა", „ლუჩ" და სხვა.

2. ნიღაბი მშრალი და უხეში კანისთვის: 1 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 სუფრის კოვზი პურის ფქვილი და კარგად ათქვეფილი 1 კვერცხის გული.

3. ნიღაბი მოდუნებული კანისთვის: 1 კვერცხის კარგად ათქვეფილი ცილა და 3 წვეთი ლიმონის წვენი. ეს ნიღაბი სახეზე გაიჩერეთ 3 წუთით. შემდეგ მეორე ფენა დაასველეთ და ახლა 10 წუთით დაიფარეთ.

4. ნიღაბი ფორებიანი კანისთვის: 1 კვერცხის კარგად ათქვეფილი გული, 1 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 სუფრის კოვზი შვრიის ფქვილი და 5 წვეთი ლიმონის წვენი.

5. ნიღაბი ცხიმიანი კანისთვის: 2 ჩაის კოვზი აუდუღარი რძე, ამდენივე პურის ფქვილი და ნახევარი ჩაის კოვზი ბორაკი. ეს ნიღაბი 10 წუთით გაიჩერეთ.

6. ნიღაბი ყოველგვარი კანისთვის: 1 სუფრის კოვზი შვრიის ფქვილი, 2 სუფრის კოვზი კარგად დაფქვილი სელის მარცვლები, 2 კოვზი დანაყილი გვირილა, 2 კოვზი გამხმარი და დაფქვილი ვარდის ფურცელი. ყველაფერი ეს აურიეთ, დაასხით მდუღარე წყალი და გაცივების შემდეგ ჩვეულებრივი წესით გაიკეთეთ ნიღაბი.

**ექიმი-კოსმეტოლოგი ი. წერეთელი.**

# ქამრიანი კაბები

სწორი, წელში გადაუჭრელი კაბები კარგა ხანია დამკვიდრდა და, ეტყობა, კიდევ დიდხანს არ გადავა მოდიდან. ასეთ კაბებს ხშირად ქამრით ატარებენ. ქამრის მოხერხებული შეკვრით ქალს შეუძლია დაფაროს თავისი აღნაგობის ნაკლი. აი, რა რჩევებს თავაზობს პოლონური ჟურნალი „კობეტა ი ჟიცე" მკითხველებს:

დახედეთ ნახატებს. თუ ქალს გრძელი წელი და ვიწრო თეძოები აქვს, მოუხდება ფართო, წელში მოჭერილი ქამარი. მოკლეწელიან ქალებს თეძოებზე თავისუფლად შემოდებული ქამარი უხდებათ. თუ ქალს მოკლე წელი და განიერი თეძოები აქვს, ვურჩევთ ატაროს კაბისავე ფერის ვიწრო, რბილი ქამარი, წელს დაბლა შეკრული. რაც შეიძლება დაბლა დაუშვით ქამარი, თუ სქელი და ვიწრო თეძოები გაქვთ. მსუქანმა ქალებმა ჯობს სულაც უქამრო კაბები ატარონ.



ეროვნული ბიბლიოთეკა




# ტანვარჯიშის კომპლექსი ხანშიშესული ან ფიზიკურად სუსტი ქალებისათვის

1. საწყისი მდგომარეობა: დადექით მხრების სიგანეზე გაშლილი ფეხებით, ტანი გამართეთ (ნახ. 1).

შესრულება: 1-2. გამართული მკლავები გაიტანეთ განზე და ასწიეთ მხრის დონემდე, თან ნებები ზევით ამოატრიალეთ, ერთდროულად წელში ოდნავ გაიზნიქეთ და თავი გადასწიეთ უკან (ნახ. 2), 3-4. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

ვარჯიში შეასრულეთ ნელ ტემპში. გაიმეორეთ 4-6-ჯერ. მკლავების განზე გატანისას ჩაისუნთქეთ, საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას — ამოისუნთქეთ.

2. დადექით შეერთებული ფეხებით. ტანი გამართეთ, თავი ასწიეთ და იყურეთ პირდაპირ (ნახ. 3).

შესრულება: იარეთ ადგილზე, მკლავები თავისუფლად და ფართოდ ამოძრავეთ. მუხლები მაღლა ასწიეთ. სიარულისას წელში არ მოიხაროთ. იარეთ საშუალო ტემპით 20-25 წამის განმავლობაში.

3. დადექით შეერთებული ფეხებით, ტანი გამართეთ (ნახ. 4).

შესრულება: 1. მკლავები გაიტანეთ წინ, 2. მკლავები გაიტანეთ განზე (ნახ. 5), 3. მკლავები ასწიეთ ზევით, 4. მკლავები განზე გატანით დაუშვით საწყის მდგომარეობაში.

ვარჯიში შეასრულეთ საშუალო ტემპში. გაიმეორეთ 4-6-ჯერ. მკლავების ზევით აწევისას თავი გადასწიეთ უკან და უყურეთ ხელებს.

4. დადექით მხრების სიგანეზე გაშლილი ფეხებით, მკლავები დაიჭირეთ დოინჯში.

შესრულება: 1. ზეტანი მოაბრუნეთ მარჯვნივ (ნახ. 6), 2. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, 3. ზეტანი მოაბრუნეთ მარცხნივ, 4. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

ვარჯიში შეასრულეთ საშუალო ტემპში. გაიმეორეთ 4-6-ჯერ.

5. დაჯექით სკამის კიდეზე, ფეხები გამართეთ, მკლავები გაიტანეთ განზე (ნახ. 7).

შესრულება: 1. ზეტანი დახარეთ წინ ბოლომდე, ერთდროულად მკლავები გაიტანეთ წინ. ეცადეთ ხელებით ფეხის ცერებს შეეხოთ (ნახ. 8) და დაიწყეთ საწინააღმდეგო მოძრაობის შესრულება (ტანი ნახევრად გამართეთ), 2. ზეტანი ისევ დახარეთ წინ ბოლომდე და დაიწყეთ საწინააღმდეგო მოძრაობის შესრულება (ტანი ნახევრად გამართეთ), 3. გაიმეორეთ იგივე (რაც თვლაზე — 2), 4. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

ზეტანის წინ დახრისას ფეხები არ მოხაროთ. ვარჯიში შეასრულეთ საშუალო ტემპში. გაიმეორეთ 4-6-ჯერ. წინ დახრისას ამოისუნთქეთ, ხოლო გამართვისას — ჩაისუნთქეთ.

6. დაჯექით სკამის კიდეზე. ფეხები შეაერთეთ გამართული ქუსლების იატაკზე დაბჯენით. ხელებით დაეყრდენით სკამის საჯდომის გვერდით კიდეებს (ნახ.9).

შესრულება: 1. მარჯვენა ფეხი ღრმად მოხარეთ (ნახ. 10), 2. მარჯვენა ფეხი გამართეთ ზევით, 3-4. მარჯვენა ფეხი ნელა დაუშვით საწყის მდგომარეობაში.

მომდევნო ოთხ თვლაზე შეასრულეთ იგივე მარცხენა ფეხით. ვარჯიში შეასრულეთ ნელ ტემპში. გაიმეორეთ სამ-სამჯერ ან ოთხ-ოთხჯერ თითოეულ მხარეს.

7. დაჯექით ხალიჩაზე ან ლეიბზე გამართული და შეერთებული ფეხებით, ხელები დააბჯინეთ ტანს უკან(ნახ. 11).

შესრულება: 1. ფეხები მოხარეთ ღრმად, ტერფები იატაკზე გააცურეთ, 2. ფეხების წინ გამართვით დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

ვარჯიში შეასრულეთ ნელ ტემპში. გაიმეორეთ 6-8-ჯერ. ფეხების მოხრისას ამოისუნთქეთ, გამართვისას — ჩაისუნთქეთ.

8. დაჯექით სკამზე განზე გაშლილი და გამართული ფეხებით, მკლავები გაიტანეთ განზე ნებების ზევით ამოტრიალებით (ნახ. 12).

შესრულება: 1. ფეხები ოდნავ ასწიეთ, შეაერთეთ და დაუშვით იატაკზე, ერთდროულად მკლავები ასწიეთ ზევით, ზეტანი ღრმად დახარეთ წინ და შეეცადეთ ნებებით შეეხოთ ფეხის ცერებს (ნახ. 13), 2. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

ვარჯიში შეასრულეთ საშუალო ტემპში. გაიმეორეთ 6-8-ჯერ. ზეტანის წინ დახრისას ამოისუნთქეთ, საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას — ჩაისუნთქეთ.

9. დაჯექით სკამზე, ხელებით დაებჯინეთ სკამის საჯდომის გვერდით კიდეს (ნახ. 14).

შესრულება: 1. მოხრილი მარჯვენა ფეხი ასწიეთ ზევით, 2. დაუშვით ფეხი ძირს და ტერფი იატაკს შეახეთ. ერთდროულად მოხრილი მარცხენა ფეხი ასწიეთ ზევით.

ვარჯიში შეასრულეთ სწრაფ ტემპში.

10. დადექით მხრების სიგანეზე გაშლილი ფეხებით, ტანი გამართეთ.

შესრულება: 1. ზეტანი და მკლავები მოადუნეთ. ზეტანი მოაბრუნეთ მარჯვნივ მოდუნებული მკლავების ოდნავ მოხრითა და ქნევით (მარცხენისა — ტანს წინ, ხოლო მარჯვენისა — ტანს უკან. ნახ. 15), 2. შეასრულეთ იგივე მეორე მხარეს.

ვარჯიში შეასრულეთ ნელ ტემპში. გაიმეორეთ 6-8-ჯერ.

დ. ჟვანია

# ზღვის ნაპირზე

ზღვის ნაპირზე უფრო თვალსაჩინო ხდება ტანის ყველა ღირსებაცა და დეფექტიც. ამიტომ საბანაო კოსტუმის შეძენისას, შეეცადეთ, კრიტიკულად შეაფასოთ თქვენი გარეგნობა: მოკლე ტრუსი და ღია ლიფი მხოლოდ ტანწვრილ ქალიშვილებს უხდებათ. მსუქან ქალებს კი ვურჩევთ შეიძინონ მთლიანი საბანაო კოსტუმი, რომელიც ტანს იჭერს. ასეთი კოსტუმი ბევრ სხვა ნაკლსაც ფარავს.

ტანშოლტილ ახალგაზრდა გოგონებსაც კი უკარგავს მიმზიდველობას მოკლე და ვიწრო ტრუსები და სხეულში ჩაჭერილი ბიუსტჰალტერი. ყველაფერს ზომიერება სჭირდება.

* * *

რა ლამაზიც არ უნდა იყოს აბრეშუმის საცვლები, ზღვისპირზე მისი გამომზეურება მაინც არ ვარგა. უბრალო ჩითის საბანაო კოსტუმი ბევრად უფრო უხდება გარემოს.

* * *

ზღვისპირზე ყველგან არ არის სპეციალური კაბინები ტანსაცმლის გამოსაცვლელად. ამაზე წინასწარ უნდა იფიქროთ. საბანაო კოსტუმის ჩასაცმელად და გასახდელად ყველაზე მოსახერხებელია კაბა-ხალათი ან თავიდან ბოლომდე ღილებზე შებნეული კაბა.

* * *

სიბრალულს იწვევენ ქალები, რომლებიც თავიანთ თმის ვარცხნილობას უფრთხილდებიან და ყოველმხრივ ცდილობენ დაიფარონ ქარისა და წყლის წვეთებისაგან. რომ იცოდნენ, რა სიამოვნებას იკლებენ! როცა საბანაოდ მიდიხართ, თმა რაც შეიძლება უბრალოდ დაივარცხნეთ, ან შეიძინეთ რეზინის ქუდი.

* * *

არავის ექნება საწინააღმდეგო, თუ სადმე მიყრუებულ ადგილას, ხალხისაგან მოშორებით ცოტა მოშილიფდებით და ისე მიიღებთ მზის აბაზანებს. მაგრამ ძალიან ჩაწეული ტრუსით და ლიფის ჩამოშვებული სამხრეებით ზღვისპირას სიარული იმას ნიშნავს, რომ არც თქვენ თავს სცემთ პატივს და არც საზოგადოებას.











ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა იმედაძე

## იქნებ ჯობდა?

რომ არ დამეთმო გვირილა, ძეწნა,
რომ არ მცოდნოდა შენზე აროდეს,
ყვავილებიდან გვირგვინი მეწნა
და სიმღერებით მევლო წყაროზე.

მეცქირა, როგორ აზორგებს ხევებს
გაზაფხული და ჯახანი ზვავთა,
როგორ უტყდება ყინული ფეხქვეშ
ენძელის მოსვლით გაქცეულ ზამთარს.

მცმოდა ზიბებით სავსე ფარაგა,
ვერცხლის ფულებით, ჯვრებით, ძოწებით,
მექსოვა მზითვის ჯეჯიმ-ფარდაგი,
მქონოდა ქალაქს ჩასვლა ოცნებად.
მეკითხა ზეცა ცისკარს, საღამოს,
მყოლოდა ლელა, ბაკური, ჩონთა,
რომ ვყვარებოდი მწყემსს და სალამურს,
იქნება ჯობდა?..

## საგვარეულო ციხე

როგორც პატარა,
სიხარულმა ისე დამათრო,
ეს ყვავილები
რა ლამაზი, რა ფერებია!

როგორ მიყვარდა დედულეთი, —
კლდოვანი დართლო,
ზვიადი პაპა,
თუმც არასდროს მომფერებია.

მე რად ვიფიქრე:
შეემთხვაო რამ უჩვეულო,
ისევ ამაყად
დამხვდა ციხე საგვარეულო...

### ჟურნალი „საქართველოს ქალი" თავის მკითხველებს

# ძვირფასო მეგობარო

სადაც არ უნდა ცხოვრობდეთ თქვენ, ქალაქში თუ სოფელში, სადაც დაიბადეთ და გაიზარდეთ, უთუოდ გიყვართ ის მხარე. თქვენს თვალწინ შეიცვალა თქვენი მხარის ცხოვრება, ბევრი რამ აშენდა, შენდება და კვლავაც აშენდება. თქვენ გახარებთ ყოველი წარმატება, რასაც თქვენი ქალაქის თუ სოფლის მკვიდრნი აღწევენ. თქვენ მათთან ერთად ხართ, მხარში უდგეხართ 50 წლის ქვეყნის მშრომელებს—ან აგურს აგურზე ამატებთ, ან პურს ლეწავთ და ვაზს ახვევთ, ან ჩაის კრეფთ და საძოვარზე მიგყავთ საქონელი.

ძვირფასო მეგობარო!

მოგვწერეთ, რატომ გიყვართ თქვენი მხარე. როგორ იცვალა სახე იმ კუთხემ, სადაც ცხოვრობთ. რითი ამაყობს თქვენი სოფელი—რა წარმატებებს მიაღწიეთ, რა გაქვთ ღირსშესანიშნავი და რა გექნებათ მომავალში.

# ავტორთა საყურადღებოდ

არის შემთხვევები, როდესაც მკითხველები საკუთარი ვინაობისა და მისამართის მიუნიშნებლად, გვთხოვენ ჟურნალის მეშვეობით ვუპასუხოთ ამა თუ იმ მტკივნეულ საკითხზე.

მსგავსი თხოვნით ამ დღეებშიც მოგვმართა ერთ-ერთმა სამტრედიელმა დიასახლისმა.

ვინაიდან არის საკითხები, რომელთა საჯაროდ გამოტანა რედაქციას უხერხულად მიაჩნია, გთხოვთ მოგვცეთ საშუალება, აღმოგიჩინოთ დახმარება უშუალოდ, წერილობით.

რედაქცია აღგითქვამთ საიდუმლოების დაცვას.


| | | |
|---|---|---|
| რედაქტორი<br>მარიკა<br>ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.<br>ტექრედაქტორი ქ. დემუროვა. | საქ. კპ ცენტრალური<br>კომიტეტის<br>გამომცემლობა |

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. №№ 9-50-39, 9-98-71, ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VII, 1967 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 100.000, შეკვ. № 2194, უე 05504 ფასი 80 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ზაფხულის სიახლენი

ყოველ ზაფხულს ახალი შტრიხები შეაქვს მოდაში. ახლებურად გამოიყურება ამ სეზონში უკვე საკმაოდ პოპულარული ტილოს ქსოვილები, რომლებსაც სულ სხვადასხვაგვარად აწყობენ მაგალითად, გვირისტით, მერეჟკით, ბეიკით და სხვა. განსაკუთრებით მოდაშია ბაცი ვარდისფერი, ცისფერი და კრემისფერი ტონის ტილო. წელს ამ ქსოვილებს თეთრი ფერის დეტალებით აწყობენ და ტანსაცმელი სპეტაკ, ახალგაზრდულ იერს ღებულობს.

განსაკუთრებით მოდაშია მერეჟკა (მოდელი № 1) ამ ბაც ვარდისფერ სანიადაგო კაბა კოსტუმში განსაკუთრებით საინტერესოა ზედატანი.

№ 2 მოდელში გაწყობილია თეთრი ფერის უბრალო მაქმანით კაბა სწორია, ზევით ოდნავ ტანზე მომდგარი, ფუტლიარის ტიპისა. ეს ტანსაცმელი ძალიან მდიდრული გამოჩნდება, თუ ამავე მაქმანისაგან გაკეთებულ ქუდთან ატარებთ.

სპორტული იერი აქვს მოდელს. კაბის გული და ჯიბეები გაწყობილია მერეჟკით. (№ 3)

მეოთხე მოდელი შესრულებულია ფართონახატიანი აცეტატური აბრეშუმისაგან. ეს ქსოვილი წლევანდელი სეზონის სიახლეა. კაბა უსახელოა, კისრის ირგვლივ დადებული აქვს ირიბი ბეიკა. (რომელიც აგრეთვე ძალიან მოდაშია).

მოდელები და მხატვრობა ლ. ავალიანისა

ИНДЕКС 76178

6 4/154

